ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 1 სექტემბერი 2004 №202 (2223) ფასი 50 თეთრი


# ფანჯრისკატები







გუშინ ზაფხულის სატრანსფერო ფან-ჯარა ისეთი [illegible] დაიხურა, მისი ხმა მთელ ევროპას გადასწვდა, მდიდარმა „მანჩესტერმა" და მისმა ფხიანმა მენეჯერმა ალექს ფერგიუსონმა მაინც აცდუნეს ვალებში ჩაფლული „ევერტონი" და 18 წლის ვარსკვლავი უეინ რუნი 27 მილიონ გირვანქად დაათმობინეს.

ლივერპულელი ჯეელი „მანჩესტერს" კონტრაქტით 2010 წლის 30 ივნისამდე შეეკრა და ხელმოწერის შემდეგ ბავშვური სიალალით თქვა, ბედნიერი ვარ, ასეთ დიდ კლუბში რომ გადმოვედი, ალექს ფერგიუსონის ხელქვეით ბევრს ვისწავლიო.

გუშინ გახარებული იყო ფაბიო კაპელოც. „იუვენტუსის" სატრანსფერო საქმეთა გამგებელმა ლუჩანო მოჯიმ ორი ისეთი ფეხბურთელი უყიდა, უკეთესს ვერც ინატრებდა. ახალი სეზონიდან „ბებერ ქალბატონს" იტალიის ნაკრების კაპიტანი ფაბიო კანავარო და ევრო 2004-ზე „სკუადრა აძურას" კარში ჯადო-გოლის გამტანი შვედი ზლატან იბრაჰიმოვიჩი მოემსახურებიან. „აიაქსის" ფორვარდის „შავ-თეთრი" მაისურით შემოსვა ტურინელებს 19 მილიონი ევრო დაუჯდათ.

რუდი ფიოლერი კი „რომას" დაუბრუნდა. დრო იყო, რუდი-ფორვარდის გოლებით „სტადიო ოლიმპიკო" ხარობდა, დრო მოვიდა, რუდი-მწვრთნელმა გუშინ „რომა" პირველად ავარჯიშა.

# ჩვენი პარტიის ყრილობა ფლეშინგ მედოუზზეა

US OPEN 2004

ნიუ იორკი ამ დღეებში ორ დიდ ამბავს მასპინძლობს — რესპუბლიკელთა პარტიის კონვენტს, რაც ქვეყნის ამჟამინდელ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-ნარინისთვის ზორბა წინასაარჩევნო ტრამპლინად უნდა იქცეს და აშშ-ის ღია პირველობას, რომელზეც პლანეტის უჩაუქესი მეჩოგნენი ერთმანეთს სეზონის უკანასკნელ სლემტიტულს შეეცილებიან.

ოლიმპიადამ თავის ჩოგბურთიანად ჩაიარა და ნაღდი ჩოგნაობა ახლა გახურდება. ყველა ბობოლა ნიუ იორკშია და „ფლეშინგ მედოუზს" შესევია. პირველმა დღემ ყველა დიდკაცს მოუმართა ჩოგანი. ჩვენთვის საინტერესოთაგან ისევ ჩვენიანმა, ირაკლი ლაბაძემ ვერ იმარჯვა, ვისაც იგივე მარცხი შეემთხვა, რაც ორი კვირის წინ ათენში. ამჯერად ლაბაძე კორტზე კი გავიდა და ფრანგ ჟერომ გოლმარს ერთი სეტი ტოლ-სწორად ებურთავა, მაგრამ შემდეგ ქრონიკულად მტკივანმა მაჯამ ჩოგანი დაახრევინა და „ფლეშინგმედოუზობაც" დაასრულებინა.



REUTERS ნიუ იორკიდან



სერენა უილიამსი ზემოთ ისეთივეა, როგორიც იყო, ქვემოთ კი ერთობ უცნაურად გამოიყურებოდა თავისი ზიზილ-პიპილო გამაშებით

# საქართველოს ბედმა უკვე გაუღიმა

## თურქეთი უფროსია და მახრჩობელა



საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს შესარჩევი ციკლი უფროსებზე ერთი დღით ადრე ეწყება — 3 სექტებერს რიზეში ესტუმრება თურქ თანატოლებს, თუმც მასპინძლები გურჯებზე ასაკოვანნი ყოფილან...

ქართველი ოცდაერთწლამდელები გუშინ შეიკრიბნენ სასტუმრო „სიმპათიაში“, ხოლო მათმა დამრიგებელმა გოჩა ტყებუჩავამ გუშინვე პრესკონფერენცია გამართა

— დღეს სრულად ვერ შევიკრიბეთ. ოთარ მარცვალაძე გამოგვაკლდა, ჯაბა კანკავა კი ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს, საფრანგეთიდან ფორმალური პრობლემების გამო ვერ ჩამოფრინდა სანდრო გურული, თემურ ბურნაძე მოლდოვიდან ხვალ ჩამოვა. კოჭის სახსარი აწუხებს ირაკლი მოდებაძეს, მაგრამ თამაშს შესძლებს. თურქებთან მატჩისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებით. მეტოქის სამი თამაშის ფირი გვაქვს — 18 აგვისტოს თურქი ახალგაზრდები რუსებს ეთამაშნენ და ამ მატჩის ვიდეოჩანაწერიც მოვიპოვეთ.

— ნაკრების ბირთვს „დინამოს“ და „თბილისის“ ფეხბურთელები შეადგენენ, ამ გუნდებს კი გადატვირთული კალენდარი ჰქონდათ — ეროვნული ჩემპიონატის გარდა ევროტურნირზეც ითამაშეს...

— ყველაფერ ამას ჩვენ ვითვალისწინებთ და ვარჯიშებზე მეტწილად ტაქტიკურ მომზადებაზე ვმუშაობთ.

— თურქეთთან მატჩში მთავარი ფაქტორი რა იქნება?

— მთავარია, გუნდი კარგი განწყობით გავიდეს მოედანზე. ვინც არ იბრძოლებს, მას ნაკრებში აღარ გამოვიძახებთ — ეს ფეხბურთელებს უკვე ვუთხარი. თუ ფეხბურთელი ბოლომდე არ დაიხარჯება, ეს ღალატის ტოლფასი იქნება.

— კანკავას გარდა ამ ეტაპზე ახალგაზრდული ნაკრებიდან კიდევ ვის შეუძლია, პირველ ნაკრებში მოხვდეს?

— ასეთი ფეხბურთელი რამდენიმეა, მაგრამ მათ გვარებს ვერ დავასახელებ.

— თურქეთის ახალგაზრდული ნაკრები დისკვალიფიცირებულია — ქართველებს ცარიელი ტრიბუნების წინ უმასპინძლებს — რამდენადაა ეს ფაქტორი ჩვენთვის სასარგებლო?

— ეს ჩვენთვის ძალიან დადებითი რამ არის. თურქეთში ისეთი გულშემატკივრობაა, რომ თავიანთ გუნდს 40 პროცენტით ქომაგები მუხტავენ. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ბედმა გაგვიღიმა.

— ბოლო ორი მატჩი საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მოიგო...

— ამით მოგებულის ფსიქოლოგია კი შევიქმენით, მაგრამ ხარვეზებიც გვაქვს, განსაკუთრებით უკანა ხაზში. ბოლო შეხვედრაში, მოლდოვასთან, თამაშის ხარისხის მხრივ ჩავარდნები გვქონდა, მაგრამ მონდომების ხარჯზე მოვიგეთ.

— თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებზე რას იტყოდით?

— სულ იმას ცდილობენ, მეტოქე მოახრჩონ და ამას მთელი გუნდით აკეთებენ. არ მეგონა, თუ თურქი ახალგაზრდები ასეთი შემართებით თამაშობდნენ. ისიცაა, რომ თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თითქმის სულ 1983 წელს დაბადებული ფეხბურთელები თამაშობენ, მათზე უმცროსი გუნდში სამია და ორი მათგანი მეტწილად სათადარიგოა. ჩვენს გუნდში კი 1983 წელს დაბადებული მხოლოდ სამი ფეხბურთელია, დანარჩენები კი მათზე უმცროსები არიან.

**დავით თავართქილაძე**

### საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

*მეკარეები:* *ირაკლი თოთლაძე (დინამო), ბექა შეყრილაძე (თბილისი), მინდია ბობლიაშვილი (სიონი).*

*მცველები:* *გიორგი ციმაკურიძე (სტალი, ალჩევსკი, უკრაინა), მიხეილ ლომიძე (როსტოვი), დავით იმედაშვილი (ვიტ ჯორჯია), თენგიზ ჩიკვილაძე (ბათუმი), დავით გიგაური (დინამო).*

*ნახევარმცველები:* *შოთა კაშია, შოთა გრიგალაშვილი, კახა ალადაშვილი (სამივე დინამო), პავლე დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია), თეიმურაზ ბურნაძე (შერიფი, ტირასპოლი, მოლდოვა), რევაზ გეწაძე, გოგიტა გოგუა, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, (სამივე თბილისი).*

*თავდამსხმელები:* *გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე (ბათუმი), ირაკლი მოდებაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაიანა), გიორგი ფიფია (თბილისი), ირაკლი ებანოიძე (ვიტ ჯორჯია).*

მოსკოვის „დინამოს“ მწვრთნელის შეცვლამაც ვერ უშველა: იაროსლავ გუებიკის მემკვიდრე ვიქტორ ბონდარენკომ ვერა და ვერ დაალაგა მოსკოველთა თამაში. რუსეთის პრემიერლიგის ბოლო ტურში „დინამო“ საკუთარ მოედანზე „ზენიტთან“ 0:2 დამარცხდა და ბოლოდან მესამე ადგილზეა. ტრავმამოშუშებულმა ოთარ ხიზანეიშვილმა სანკტპეტერბურგელებთან 90 წუთი ითამაშა და „სპორტ ექსპრესისგან“ თავისიანებში უმაღლესი შეფასებაც დაიმსახურა. ხიზანეიშვილი დღეს თბილისში მოემგზავრება, რათა ეროვნულ ნაკრებში სათურქეთოდ მოემზადოს...

# დინამო ვერ ამოდის, ხიზანეიშვილი მოდის



— ტრავმის შემდეგ ფორმის აღდგენა არ გაგიჭირდა?

— სერიოზული ტრავმა კი მქონდა, მაგრამ ბონდარენკომ მითხრა, უფრო სწორად, მაგრძნობინა, კარგი იქნება, თუ გუნდთან ერთად იქნებიო. მეც სპეციალური დამცავი ნიღბით ვვარჯიშობდი და ბევრიც არ გამცდენია. ასე რომ, ფორმაში ვარ.

— „დინამოს“ რა სჭირს, „ზენიტთან“ წაგებამ გასავარდნ ზონას მიგაახლოვათ?

— „ზენიტთანაც“ იმდენი საგოლე მომენტი გვქონდა, ორი თამაშს ეყოფოდა, მაგრამ რად გინდა?! საერთოდ, ძალიან გახსნილი და მხიარული თამაში გამოვიდა. „ზენიტს“ ჰყავს კერჟაკოვი, რომელიც თავის შანსს არ აფუჭებს. ჩვენმა გუნდმა კი თავისი თამაში ჯერაც ვერ იპოვა, რაც ალბათ იმის ბრალია, რომ შუა სეზონში მწვრთნელი შეიცვალა. ამას მოჰყვა სათამაშო სქემების გადაწყობაც. გუებიკი და ბონდარენკო განსხვავებულ ტაქტიკურ სქემებს იყენებენ.

— თუმც ძირითადს ბონდარენკოს ხელში გაუშინაურდი.

— არა მგონია, გუებიკის დროსაც არ მეთამაშა, უბრალოდ, ფორმა ბონდარენკოს მოსვლის შემდეგ აღვიდგინე.

— თურქეთთან სათამაშოდ სანაკრებო მიწვევას მიიღებდი, რამდენად მზად ხარ?

— ძალიან გამიხარდა, რომ კიდევ ერთხელ მომეცა ეროვნულ გუნდში თამაშის შანსი. ძალიან ძნელი თამაში გველის, მაგრამ მთავარია, ყველა ფეხბურთელმა მაქსიმუმი გაიღოს. თბილისში ხვალ მოვფრინავ.

**დავით ერაძე**

# იოჟეფ საბომ ამისულაშვილს განწყობა და ამპლუა შეუცვალა



კიევის „დინამოში“ ალექსეი მიხაილიჩენკოს იოჟეფ საბოთი შეცვლამ რომ გაამართლა, ამაზე უკრაინელების ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაც მეტყველებს. „დინამომ“ შეუძლებელი შეძლო და კიევში უიმედოდ ნაგებული მატჩი ტრაბზონში მოატრიალა. ამასობაში კი ავადმყოფობის შემდეგ დინამოელთა დუბლშემადგენლობაში პირველად გამოჩნდა ალეკო ამისულაშვილი...

— ვირუსის შემდეგ ნელ-ნელა ჯანზე მოვდივარ. ყურის ანთების მკურნალობაც დავასრულე და „ჩერნომორეცთან“ 90 წუთი ვითამაშე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 12 დღე საერთოდ არ მივარჯიშია, საკმაოდ ნორმალურად ვითამაშე და ალბათ მალე ფორმასაც აღვიდგენ.

— ვირუსმა და უთამაშებლობამ ნაკრებსაც გამოგაკლო...

— ახლა რომ არ გამომიძახეს, არ მწყენია, ვიცი, სანაკრებოდ ჯერ მზად არ ვარ.

— რა შეიცვალა საბოს მოსვლით „დინამოში“?

— ძალიან ბევრი რამ. ვინც ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, ახლა თამაშობს და პირიქით. სათამაშო სქემაც გადახალისდა და, რაც მთავარია, ატმოსფეროა სულ სხვა. ტრაბზონში „დინამომ“ ხუთი ახალი ფეხბურთელით ითამაშა და, მგონი, შედეგი ყველაფერზე მეტყველებს.

— როგორ ფიქრობ, რის ხარჯზე მოიგო „დინამომ“?

— როგორც ჩანს, არც „ტრაბზონსფორი“ ელოდა ასეთ მოტივირებულ და შეცვლილ „დინამოს“. იღბალიც ჩვენსკენ იყო, უკვე მე-7 წუთზე გოლი გავიტანეთ.

— თქვენი ჯგუფი უმალ მოინათლა სიკვდილისად, როგორ ფიქრობ, რა შანსები გაქვთ?

— ლიგის ჯგუფურ ეტაპზე სუსტი გუნდები აღარ არსებობს და „რეალი“, „რომა“ და „ბაიერი“ მართლაც სერიოზული კომპანიაა. ვეცდებით, ბოლოლა ევროპელებს ყელში გავეჩხიროთ.

— შენს გამოჩენას მთავარ გუნდში როდისთვის უნდა ველოდოთ?

— ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილი იყო ჩემი „დინამოდან“ წასვლა, თამაშის შანსი არ მეძლეოდა და დუბლებში თამაში მე არ მსუროდა. საბომ კი არ გამიშვა, მჭირდებიო. ახლა მისი მითითებით ამპლუაც შევიცვალე, თუ აქამდე განაპირა მცველი ვიყავი, ახლა უკანა მცველად მათამაშებს.

— რატომ, „დინამოს“ ამ პოზიციაზე პრობლემები აქვს?

— გარკვეულწილად კი. ახლა უკანა მცველად გავრანჩიჩი თამაშობს. ის უფრო საყრდენია და მის თამაშში წუნი ხშირია. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ეს ადგილი „დინამოსთვის“ პრობლემატურია. მოკლედ, ახლა ჩემზეა ყველაფერი დამოკიდებული. ვიცი, რომ საბო შანსს მალე მომცემს.

**დავით ერაძე**

### საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. პირველი წრე. 16. 3 ტური

**დინამო 2 4:2 მერანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 3 | 3 | 0 | 0 | 14:0 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| დინამო 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| ბორჯომი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| კახეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:9 | 6 |
| ჩიხურა | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| გურია | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ცხინვალი | 3 | 1 | 1 | 1 | 8:7 | 4 |
| მაღაროელი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ივერია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ოლიმპი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| რუსთავი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| საგარეჯო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:10 | 1 |
| ლოკომოტივი 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:11 | 1 |
| მერანი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |

### ინგლისი

**ჩემპიონატი. VI ტური**

რედინგი 1:0 სანდერლენდი
ქუინზ პარკი 0:1 შეფილდი

**I ლიგა. VI ტური**

ჩესტერფილდი 1:0 პორტ ვეილი
ჰალი 0:1 ბრედფორდი

**II ლიგა. VI ტური**

შრიუსბერი 2:0 ჩელტენემი

**კონფერენსი. V ტური**

ჰალიფაქსი 2:2 კარლაილი
იორკი 0:1 აკრინგტონი

### ისლანდია

**პრემიერდივიზიონი. XVI ტური**

ფრამი 1:0 რეიკიავიკი

### შოტლანდია

**ლიგის თასი. II ეტაპი**

ალბიონი 1:2 პარტიკი
ალოა 1:2 ბერიკი
ფოლკირკი 5:3 სტირლინგი
ფორფარი 4:3პენ.(2:2) ქუინზ პარკი
პიტერჰედი 1:2 როსი
კლაიდი 1:0 სტრანრარი
გრეტნა 1:0 კოუდენბითი
სტ. ჯონსტონი 3:0 ქუინი

# არისი: არის აბონემენტები

**ირაკლი ვაშაკიძის** „არისი“ საახალსეზონო შეკრებას აგრძელებს. გუშინწინ არისელები ქართველი გულშემატკივრებისთვის ტკბილად მოსაგონარ „კასტორიას“ ამხანაგურად ეთამაშნენ და 0:0 დაუზავდნენ. ვაშაკიძემ ერთი ტაიმი გუნდის ძირითად შემადგენლობასთან ერთად ითამაშა. მეორე ტაიმის მე-11 წუთზე სხვებთან ერთად იგიც შეცვალეს.

„არისი“ მომდევნო ამხანაგურ მატჩს დღეს გამართავს, ბოლოს კი 5 სექტემბერს. 12 სექტემბერს „არისი“ სეზონს სათასო მატჩით იწყებს. 19-ში საბერძნეთის ჩემპიონატიც დაიწყება.

„არისი“ ახალ სეზონს საკმაოდ მოძლიერებული ხვდება და უეფას ზონაში მოხვედრაც განუზრახავს. თან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საკლუბო აბონემენტების გაყიდვის რეკორდიც დაამყარა.

**დავით ერაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს ჩემპიონატი 16 — უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 5 ტური

| |
|---|
| დილა 0:1 ტორპედო |
| კოლხეთი 0:3 ლოკომოტივი |
| სიონი 3:2 ვიტ ჯორჯია |
| დინამო 2:0 ზესტაფონი |
| ბათუმი 1:1 თბილისი |

30 აგვისტოს ჩამთავრებული მეხუთე ტურის შემდეგ მეთექვსმეტე ეროვნული ჩემპიონატი 11 სექტემბრამდე შეისვენებს — ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ახალი შესარჩევი ციკლის ორ მატჩს გამართავენ და საშინაო ჩემპიონატიც ამად მოცდება


ბოლნისელმა მამუკა რუსიამ ვიტელი მეკარე გრიგოლ ბედიაშვილი ორჯერ გაამწარა

# ვინ გაანათლებს ქომაგს?

## აგრესიულობა მოდაში აღარაა

მეხუთე ტურის ტოპმატჩი კი ბოლნისში იყო, სადაც „სიონმა“ ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ მოუგო. ვიტელებმა უჩვეულოდ უჯიგროდ ითამაშეს, მძლე ვეტერინარიას თითქოს ფეხები უკანკალებდა, არადა, სტადიონი სანახევროდაც არ იყო სავსე. ყველაფერი ერთი მატჩით არ ფასობს, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ“ ქვეყანას სალპარაკო მისცა, ეს გუნდი შემთხვევითი ჩემპიონიაო.

ახალი „სიონი“ წინა სეზონის „რუსთავის“ კადრებითაა შექმნილი. პირველმა „რუსთავმა“ მაშინ უმაღლესი ლიგა მოინაგრა, მაგრამ უფულობის გამო საგზური გაუხუნდა. „ვიტ ჯორჯიას“ ძლევით ვინძლო ბოლნისში კვლავაც გაჩაღდეს ძლიერი საფეხბურთო კერა, მაგრამ გინება „სიონ“—„ვიტ ჯორჯიას“ მატჩზე კვლავაც ბევრი და უშვერი იყო.

ზოგადად, ქომაგობა უცნაური კასტაა, მის გარეშე ფეხბურთი მკვდარია, მაგრამ ქომაგის უცნურობასაც აქვს საზღვარი. ბოლნისში მსაჯების და მეტოქე გუნდის ფეხბურთელების გარდა „სიონის“ მთავარ მწვრთნელსაც აგინეს და მატჩის გამშუქებელ ფოტოკორესპონდენტსაც. ერთ ეპიზოდში „სიონის“ გულშემატკივარი მავთულლობეს მიაწყდა და კარგა მაგრად აჯანჯღარა. პოლიცია მატჩზე ბლომად იყო და ამაზე მეტი ექსცესი არ ყოფილა. ერთი ტანთშემოძარცული გულშემატკივარი კი პოლიციელებმა სტადიონიდან გააბუნძულეს.

მსაჯებს და მეტოქე გუნდებს ბოლნისში ჩასვლისა ეშინიათ — ეს სინდრომი კი არა, ფაქტია.

მახინჯ ტრადიციად ჩამოყალიბდა სტუმარი ფეხბურთელების გინება და ფურთხება გორში. ასე იყო „დილა“—„ტორპედოს“ მატჩში.

უგუნური ქომაგი აქეთაც შემოგვედავება, უცხოეთის ზოგიერთ სტადიონზე უარესები მომხდარა და ხდებაო. მაგრამ სადაც უარესები ხდებოდა და აღარ ხდება, იქ თვითონ კლუბების მესვეურებმა იმუშავეს გულშემატკივრებთან, თავში ჩაუდეს ქომაგს, რომ აგრესიულობა ცუდია და დიდი შეცდომაა. სადაც ეს კლუბებმა არ გააკეთეს, იქ კვლავაც პროვინციული ეროვნული ჩემპიონატები აქვთ. ფედერაციის თუ პროფლიგის ვერანაირი ჩინოვნიკი თუ სადამსჯელო სანქცია ამ პრობლემას ვერ მოერევა, ამ საკითხის გადაჭრა ყველაზე ეფექტურად კლუბის მესვეურობას ძალუძს, რაც საერთაშორისო პრაქტიკითაა დადასტურებული.


ბოლნისში პოლიცია გააქტიურდა: შიშველ გადარეულებს სტადიონიდან მიერეკება


პატარა გორი გინებაშიც დიდია

ჟურნალისტიკა მორალის კითხვა არ არის, მაგრამ ის ხომ ორჯერ ორია, რომ ქომაგის აგრესიულობა თანამედროვე საფეხბურთო კულტურას არ შეესაბამება. მაშ, ერთხელაც ვნახოთ, რა ხვითოები არიან ჩვენი კლუბების მესვეურები.

**დავით თავართქილაძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 4-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 3-მელქაძე | დინამო |
| გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ბობოხიძე | ლოკომოტივი |
| მეგრელაძე | ტორპედო |

**მომდევნო ტური**

| |
|---|
| 11 სექტემბერი, შაბათი |
| თბილისი – სიონი |
| ტორპედო – ბათუმი |
| ზესტაფონი – დილა |
| კოლხეთი – დინამო |
| 12 სექტემბერი, კვირა |
| ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია |

**სიმბოლური ნაკრები**

მამუკა რუსია — სიონი
ალექსანდრე კოშკაძე — ტორპედო
ირაკლი მიქავა — სიონი
გოჩა ხოჯავა — თბილისი
შოთა გრიგალაშვილი — დინამო
შოთა კაშია — დინამო
რევაზ გეწაძე — თბილისი
დავით გამეზარდაშვილი — ტორპედო
კახა ცქვიტაია — სიონი
ზურაბ ექონია — ბათუმი
თამაზ ილურიძე — დილა

გუნდი: სიონი
მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

# ტრანსფერიცვალება


ალეკო გოგობერიშვილის უქმობა მორჩა

**თბილისის** „ლოკომოტივი“ ტურიდან ტურამდე უმატებს. აშკარად უმჯობესდება გუნდის თამაშის ხარისხი და აკი რკინიგზელებს მადა ჭამაში მოუვიდათ — მაღალი ადგილებისა და საუეფასთასო ამბიციები გაუჩნდათ.

ამას გუნდის სატრანსფერო პოლიტიკამაც შეუწყო ხელი. თავდამსხმელის პრობლემა რკინიგზელებმა მიხეილ ბობოხიძესთან კონტრაქტით მოაგვარეს, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ამ რგოლში კონკურენციის გასამძაფრებლად „ლოკომოტივმა“ ექსსიონელი გიორგი შენგელიაც დაიმატა. ბოლოს კი მთავარი ვთქვათ: როგორც იქნა, ვარჯიში განაახლა ალეკო გოგობერიშვილმა. ისიც და შენგელიაც უკვე „ლოკომოტივში“ ვარჯიშობენ და ალბათ ორივე უახლოეს მატჩებში გამოჩნდება მოედანზე, რაც, უეჭველია, გუნდის თამაშს დაეტყობა.

**დავით ერაძე**


აწ ლოკომოტიველმა გიორგი შენგელიამ წინა სეზონში სწორედ „ლოკომოტივს“ გაუტანა

# გაგრა დაგვიბრუნდა

## მალე ბენდელას აფხაზეთშიც ეთამაშოს...

ეს დღეებია, საქართველოს ჩემპიონატის რეგიონალლიგა დაიწყო და გაგრის „ბენდელა“ ცენტრალური ზონის სადებიუტო მატჩს სტუმრად გამართავს თბილისის „ზოოვეტთან“. „ბენდელა“ კი, მიხვედრილით, აფხაზეთში გმირულად დაღუპული ფეხბურთელის, ზაზა ბენდელიანის ხსოვნის პატივსაცემად დაერქვა გუნდს. ზაზას ხომ ბავშვობა გაგრაში ჰქონდა გატარებული.

გაგრის „ბენდელა“ თითქმის მთლიანად 18-19 წლის უწვერული ბიჭებითაა დაკომპლექტებული, რომელთა უმრავლესობაც ლტოლვილია. გუნდი ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „ვაკე 91“-ის ბაზაზე ვარჯიშობს, ხოლო მთავარი მწვრთნელი ის სერგო ჩოგოვაძეა, ადრეც გაგრულ გუნდებს — „სიხარულსა“ და „დინამოს“ რომ თავკაცობდა: „ძალიან კარგი საქმე გაკეთდა. გეხსომებათ, გაგრის „დინამო“ საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფში, მაშინ წყალტუბოში ვთამაშობდით საშინაო მატჩებს, მაგრამ ეს იყო 4 წლის წინ და მას შემდეგ გუნდი აღარ გვყოლია“ — გვითხრა სერგო ჩოგოვაძემ, რომელსაც „ბენდელას“ გაწვრთნაში დათო ქარაული და კახა პაპავაძე ეხმარებიან.

ჯერჯერობით უცნობია, თბილისის რომელ სტადიონზე უმასპინძლებს „ბენდელა“ მეტოქეებს, თუმც 4 სექტემბრიდან ეს უკვე ცნობილი იქნება. რაც შეეხება დაფინანსებას, კლუბს მხარში უდგანან ზაზა ბენდელიანის მამა ჯუმბერი, ზაზას მეგობრები და ასევე აფხაზეთის მინისტრთა საბჭო. გარდა ამისა, ფეხბურთელთა მშობლებიც ყურადღებას აქცევენ „ბენდელას“. სერგო ჩოგოვაძის თქმით, ამ ეტაპზე ფინანსური მხარე ნაკლებმნიშვნელოვანია. მთავარია, რომ პერსპექტივა არსებობს და გაგრა ქართული ფეხბურთის მარაქაში გაერია.

**ილია ნანობაშვილი**

# მიჯრით მუჯირი და რეხვოს რეხვები

*კახა კალაძის „მილანმა“ ზედიზედ მეორე ტიტული წააგო.* ერთი კვირის წინ „რონსონერი“ გამპერის თასზე სათამაშოდ კატალონიას ესტუმრა და იქაურ „ბარსელონასთან“ 1:2 დამარცხდა, ახლა კი საკუთარი პრეზიდენტის, სილვიო ბერლუსკონის სახელობის თასიც დათმო. „მილანმა“ მშობლიურ „სან სიროზე“ ვერაფერი გააწყო „იუვენტუსთან“. მატჩის ერთადერთი გოლი ტურინელმა ოლივეირამ გაიტანა. კალაძემ კი, ისევე როგორც „ბარსელონასთან“, აქაც მარცხენა მცველად ითამაშა და თან სრულად, თუმც ჯერაც ძნელი სათქმელია, რა იქნება სერია A-ში — ჩვენებურს პაოლო მალდინის, ალესანდრო ნესტას, იაპ სტამის, ალესანდრო კოსტაკურტას და კაფუს კომპანიაში მოუწევს ძირითადისთვის ბრძოლა.

*„ფრაიბურგმა“ დასანანი ქულები დაკარგა და მე-6 ადგილამდე დაქვეითდა.* არადა, რომ მოეგო, სამეულში ამოყოფდა თავს. ფოლკერ ფინკეს ბიჭებმა თავიდანვე გაუტანეს „მიონხენგლადბახს“ — ალექსანდრე იაშვილის პასით როდა ანტარმა იხეირა — მაგრამ სტუმრებმა ოლივერ ნოივილის გოლით გაათანაბრეს და მატჩიც ასე დასრულდა. იაშვილის დარად, 90 წუთი ითამაშა *ლევან ცქიტიშვილმაც*.

კბილმტკივანმა *ლევან კობიაშვილმა* მეორე მატჩი გამოტოვა. ინტერტოტოს თასის ფინალის მერე ჩვენებური „შალკეს“ ბუნდესლიგაშიც ვერ შეეშველა. გელზენკირხენელებმა „შალკე არენაზე“ 0:2 წააგეს „ჰანზასთან“ და უჩვეულო, მე-14 ადგილზე არიან. კობიაშვილს კი კბილის ტკივილი ისე გაურთულდა, ქირურგიული ჩარევაც დასჭირდა და ჯერაც უცნობია, ითამაშებს თუ არა 4 სექტემბერს თურქეთში.

*გლაზგოს „რეინჯერსმა“ მეორე გამოცდა ვერ ჩააბარა ამ სეზონში.* რამდენიმე დღის წინ ჩემპიონთა ლიგის ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსულ ცსკა-სთან შერცხვენილი „ჩაფრობა“ ამჯერად მოსისხლე „სელტიკს“ შემოეჭამა. „რეინჯერსი“ სათავისო 0:0-ით აპირებდა მეტოქესთან გაყრას, თუმც „თეთრ-მწვანეებმა“ 85-ე წუთზე ალან ტომპსონის გოლით გაიხარეს და უკვე ხუთი ქულით უსწრებენ თანაქალაქელებს. *შოთა არველაძე* 53-ე წუთზე შეცვალეს, *ზურაბ ხიზანიშვილი* კი განაცხადშიც არ იყო. ისე, გამორიცხული არ არის, ჩვენებურებს მალე ახალი მწვრთნელის დარიგებების მოსმენა მოუხდეთ.

*თბილისის „დინამოს“ მომავალი მეტოქე „ვისლა“ პოლონეთში მძვინვარებს.* კრაკოველებმა *მამია ჯიქიას* „პლოცკს“ უმასპინძლეს და 4:0 გაანადგურეს. ჩვენებურმა სრულად კი ითამაშა, თუმც ერთი თავით მაღლა მდგომ მეტოქესთან ვერაფერს გახდა.

*ალექსანდრე რეხვიაშვილმა გოლებს ისე მოუხშირა,* ამიერიდან ეგებ ყოველი უგოლო მატჩი უიღბლოდ მიიჩნიოს. ევროთასებზე გოლგაწაფული ჩვენებური ლატვიის ჩემპიონატშიც მიზანში ისვრის — „ვენტსპილსმა“ 6:0 მოუგო აუტსაიდერ „აუდას“, ალეკომ კი მეორე გოლი გაუტანა მეტოქეს. პირველი ტაიმის შემდეგ სანაკრებოდ გამზადებული ჩვენებური მწვრთნელმა შეცვალა.

*ზედიზედ მესამე მატჩია, გააქვს ამირან მუჯირს.* უეფას თასზე კვიპროსულ „ომონიასთან“ შინ თუ გარეთ თავის გამოჩენის მერე მუჯირმა ბულგარეთის ჩემპიონატსაც დაატყო ფეხი. ამირანმა ამჯერად „ნაფტექსთან“ გაიხარა და ცსკა-ს გალიდერებაში დაეხმარა. 4 თამაშში 2 გოლის გამტანი ქართველი ნახევარმცველი აქამდე სათადარიგოდ თუ ითვლებოდა, ახლა ძირითადი შემადგენლობის კაცია და არმიელთა თამაშის „წაყვანა“ ევალება.

*რუსეთში ქართველობა ისევ პასიურობს.* ამ ტურში პრემიერლიგაში მხოლოდ ორი ჩვენებური გამოჩნდა — ალანიელი ლევან გვაზავა და დინამოელი ოთარ ხიზანეიშვილი. ვლადიკავკაზელებმა სტუმრად ქულა აართვეს მოყოჩაღებულ „როსტოვს“, მოსკოვის „დინამომ“ კი პეტერბურგულ „ზენიტთან“ დაყარა ფარ-ხმალი.

**ბაჩა ზალამბერიძე**



არმიელი ამირან მუჯირი კარგად მსახურობს

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. ბერლუსკონის თასი** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | იუვენტუსი 0:1 | 90 | | 1 | 0 | |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ჰანზა 0:2 | 0 | ტრავმა (კბილი ტკივა) | 2 | 0 | 14 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | გლადბახი 1:1 | 90 | საგოლე პასი | 3 | 0 | 6 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | გლადბახი 1:1 | 90 | | 3 | 0 | 6 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | ფიურტი 0:1 | 58 | შეცვალეს | 3 | 0 | 2 |
| დავით სირაძე | ტრირი | ს | მიუნხენი 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 12 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | სელტიკი 0:1 | 53 | შეცვალეს | 4 | 2 | 3 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | სელტიკი 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 2 | 0 | 3 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ბრეგენცი 0:0 | 90 | | 7 | 2 | 8 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | ყუბანი 1:2 | 0 | სათადარიგო | 13 | 0 | 4 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | ს | ყუბანი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 0 | 4 |
| რატი ალექსიძე | როსტოვი | შ | ალანია 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 5 | 0 | 10 |
| მამუკა ლომიძე | როსტოვი | შ | ალანია 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | როსტოვი 0:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 1 | 11 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | როსტოვი 0:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 1 | 11 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ალანია | ს | როსტოვი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 1 | 11 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | დინამო | ს | ზენიტი 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 7 | 0 | 14 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | შინიკი 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | ს | ნეფტეხიმიკი 1:3 | 90 | | 10 | 0 | 12 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | ნეფტეხიმიკი 1:3 | 90 | გააფრთხილეს | 23 | 0 | 12 |
| ედიკ საჯაია | არსენალი | ს | ურალანი 0:0 | 0 | | 20 | 0 | 9 |
| გიზო ჯელაძე | სოკოლი | ს | ხიმკი 1:0 | 65 | შეცვალეს | 20 | 0 | 2 |
| პაატა ჯინჭარაძე | ნეფტეხიმიკი | შ | ანჟი 3:1 | 90 | გააფრთხილეს | 20 | 3 | 19 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | ჩერნომორეცი 1:1 | 4 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 0 | 3 |
| ზაზა ჯანაშია | ბალტიკა | შ | დინამო (ბ) 1:1 | 90 | | 5 | 1 | 20 |
| თემურ გადელია | ბალტიკა | შ | დინამო (ბ) 1:1 | 0 | | 7 | 1 | 20 |
| რომან ახალკაცი | ბალტიკა | შ | დინამო (ბ) 1:1 | 90 | | 6 | 0 | 20 |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | შ | სოკოლი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 5 |
| ვალერი აბრამიძე | ხიმკი | შ | სოკოლი 0:1 | 90 | | 3 | 0 | 5 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | ს | სკა-ენერგია 1:1 | 39 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 1 | 16 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | ვოლინი 2:1 | 0 | | 5 | 0 | 3 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | ვოლინი 2:1 | 53 | შეცვალეს | 6 | 3 | 3 |
| გიორგი გახოკიძე | მ. დონეცკი | ს | ვოლინი 2:1 | 0 | | 2 | 0 | 3 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | შ | ჩერნომორეცი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | შ | ობოლონი 0:1 | 50 | შეცვალეს | 5 | 1 | 15 |
| გია ჭანტურია | ტავრია | შ | ობოლონი 0:1 | 90 | | 2 | 0 | 15 |
| გიორგი იმედაძე | ტავრია | შ | ობოლონი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| კახა ჩხეტიანი | ტავრია | შ | ობოლონი 0:1 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 15 |
| ზვიად ჩხეტიანი | ტავრია | შ | ობოლონი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | ობოლონი 0:1 | 90 | | 5 | 2 | 15 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | არსენალი 1:1 | 90 | | 5 | 1 | 4 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | კრივბასი 0:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 13 |
| ლაშა ჭელიძე | მ. ზაპოროჟიე | ს | კრივბასი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 13 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | პლოცკი | ს | ვისლა 0:4 | 90 | | 3 | 0 | 13 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | დიტონი 4:0 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 3 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | დიტონი 4:0 | 90 | | 15 | 3 | 2 |
| გიორგი ყიფიანი | სკონტო | ს | დიტონი 4:0 | 33 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 2 | 2 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | ს | აუდა 6:0 | 45 | 1 გოლი, შეცვალეს | 5 | 1 | 3 |
| თამაზ პერტია | დინაბურგი | ს | იურმალა 0:0 | 90 | | 19 | 1 | 4 |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნიკურაძე | კტპ | შ | ტამპერე 0:1 | 0 | სათადარიგო | 14 | 0 | 9 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | ს | ნაფტექსი 4:0 | 90 | 1 გოლი | 4 | 2 | 1 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | შ | ბელასიცა 3:0 | 0 | | 1 | 0 | 13 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | შ | ბელასიცა 3:0 | 0 | | 2 | 0 | 13 |
| ლევან კაპანაძე | ბელასიცა | ს | ჩერნო მორე 0:3 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| ლევან მიქაძე | ბელასიცა | ს | ჩერნო მორე 0:3 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| კახა კვეტენაძე | ორდაბასი | ს | ატირაუ 0:2 | 86 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 20 | 0 | 14 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | შ | ვოსტოკი 0:1 | 0 | | 14 | 0 | 7 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუნი ოლდ ტრაფორდზე

## ფერგიუსონმა ბიჭი მოიგო

*„მანჩესტერ იუნაიტედმა“ საფონდო ბირჟას ამცნო, რომ მიაღწია შეთანხმებას „ევერტონთა“ ამ გუნდიდან 18 წლის უეინ რუნის გადმოყვანის თაობაზე. ლაპარაკია 25 მილიონ გირვანქაზე და გუშინვე რუნი სამედიცინო შემოწმებისთვის ჩავიდა კარინგტონის საწვრთნელ ბაზაზე მანჩესტერის ახლოს*





**ვარსკვლავის** ყიდვა „ნიუკასლსაც“ უნდოდა და როგორც ამბობდნენ, რუნისაც იქ ერჩია წასვლა, მაგრამ ახლა ის უკვე მანჩესტერელია და მისი კონტრაქტის ძირითადი პუნქტებიც მალე გახმიანდება.

გაყიდვა „ევერტონს“ ართმევს საუკეთესო ფეხბურთელს, თუმცა, აძლევს ფულს 30-მილიონიანი ვალის დასაფარად. ჯერ არავინ იცის, შეძლებს თუ არა „ევერტონი“ ამ ფულით შემადგენლობის მოძლიერებას. ჯერ ისიც კი არ გახმიანებულა, რა ნომერს მიაკუთვნებენ „მანჩესტერში“ რუნის.

ისე კი გამოვიდა, რომ ამ ბიჭისთვის ბოლო ერთ კვირას ორი რაინდი იბრძოდა, სერ ბობი და სერ ალექსი. თითქოს მათ უნდოდათ, რომ ვუნდერკინდს მათი სიბერის კარიერა დაეტკბო. სერ ბობიმ წააგო — ორშაბათ დილით ის მოხსნეს, საღამოს კი სერ ალექსმა საბოლოოდ გაჩარხა საქმე „ევერტონის“ თავმჯდომარე ბილ კენრაიტთან.

უეინ რუნი კი შეიქნა ინგლისის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული თინეიჯერი. თუ რამ გამოიწვია ეს, ცნობილია. რუნის სკოლა არ დაემთავრებინა, რომ უკვე ვარსკვლავი იყო. მან მაშინ მოაწერა პროფესიულ კონტრაქტს ხელი, როცა მოზარდთა გუნდში ირიცხებოდა და ეს გუნდი ყმაწვილთა თასის ფინალში მარტომ გაიყვანა. ის 16 წლის მოხვდა პრემიერლიგის მინდვრებზე — 2002 წლის 19 ოქტომბერს.

მან შეწყვიტა „არსენალის“ წაუგებელი, 30 მატჩიანი სერია 25 იარდიდან საოცრად დარტყმული ბურთით, ის შეიქნა ნაკრების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე, იქ უკვე 17-ჯერ ითამაშა და 9 გოლი გაიტანა. მან ნამდვილი საოცრებები მოახდინა ევრო 2004-ზე.

ეს ყველაფერი კი დასრულდა იმით, რომ „ევერტონმა“ გვარიანად ივაჭრა და ბიჭი დიდ გუნდში მოხვდა. ბოლო წუთამდე ის დუმდა, პარასკევს კი გამოაცხადა, წასვლა მინდაო.

მოკლედ, ახალი რუნი იწყება.

**ირაკლი გამყრელიძე**

# შვიდი გოლი ზღვის პირას



პორტსმუთელმა იაკუბუმ ვან დერ სარს ჰეთ თრიქი შეუსრულა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 4 | 4 | 0 | 0 | 16:5 | 12 |
| ჩელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 6:1 | 12 |
| ბოლტონი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| ტოტენჰემი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| მიდლსბრო | 4 | 2 | 1 | 1 | 9:8 | 7 |
| ასტონ ვილა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ევერტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| ჩარლტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:9 | 6 |
| მანჩესტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| სიტი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:4 | 4 |
| პორტსმუთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| ლივერპული | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ფულემი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| ბირმინგემი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| ვესტ ბრომვიჩი | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | 3 |
| საუთჰემპტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| ნიუკასლი | 4 | 0 | 2 | 2 | 6:9 | 2 |
| ნორვიჩი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:9 | 2 |
| ბლეკბერნი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| კრ. პალასი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |

**ჩემპიონატი. VI ტური**

**პლიმუთი 3:2 ნოტინგემი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:4 | 14 |
| სტოკი | 6 | 4 | 2 | 0 | 7:2 | 14 |
| იფსვიჩი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:7 | 13 |
| პლიმუთი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:6 | 13 |
| ქოვენთრი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 10 |
| მილუოლი | 5 | 3 | 1 | 1 | 4:2 | 10 |
| ვესტ ჰემი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 10 |
| უოტფორდი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:4 | 9 |
| რედინგი | 5 | 3 | 0 | 2 | 5:4 | 9 |
| ჯილინგემი | 6 | 3 | 0 | 3 | 7:8 | 9 |
| შეფილდი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:2 | 8 |
| პრესტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:7 | 7 |
| ბრაიტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:9 | 7 |
| ბარნლი | 6 | 1 | 3 | 2 | 4:5 | 6 |
| დერბი | 6 | 2 | 0 | 4 | 8:10 | 6 |
| ქრიუ | 5 | 1 | 2 | 2 | 11:12 | 5 |
| სანდერლენდი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | 5 |
| ლიდსი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| ლესტერი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:6 | 5 |
| ქუინზ პარკი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| ვულვზი | 6 | 0 | 4 | 2 | 6:8 | 4 |
| ნოტინგემი | 6 | 0 | 4 | 2 | 8:12 | 4 |
| კარდიფი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | 4 |
| როტერჰემი | 6 | 0 | 3 | 3 | 2:7 | 3 |

## ინგლისი

**პრემიერლიგა. IV ტური**

**პორტსმუთი 4:3 ფულემი**

1:0 ბერკოვიჩი (19), 2:0, 3:0 იაკუბუ (22, 28პ), 3:1 ე. კოული (39), 3:2 ბოამორტე (41), 4:2 იაკუბუ (72), 4:3 ბოკანეგრა (75)

**პორტსმუთი:** ჰისლოპი, პრიმუსი, დე ზეუვი, სტეფანოვიჩი, ანსუორთი, სტოუნი, ქვოში, ბერგერი, ბერკოვიჩი (ლუა ლუა 79), ფულერი, იაკუბუ (ტეილორი 88)

**მწვრთნელი:** ჰარი რედნაპი

**ფულემი:** ვან დერ სარი, ვოლცი, გომა, ნაითი, ბოკანეგრა, იენსენი, დიოპი, ლეგვინსკი (მაკბრაიდი 86), ბოა მორტე, ე. კოული, რაძინსკი (ჯონი 68)

**მწვრთნელი:** კრის კოულმენი

**გაფრთხილება:** ლეგვინსკი, ნაითი

**მსაჯი:** ნაითი

19 728 მაყურებელი

ვერ აეწყო წლეულს „ფულემის“ საქმე. შვიდგოლიანი ტრილერი პორტსმუთში მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. თამაში იმგვარი იყო, რომ პირველი ნახევარი საათის თავზე „პორტსმუთი“ უკვე 3:0-ს იგებდა. ჯერ ეიალ ბერკოვიჩმა დაარტყა ბურთი ძირს დაუშვებლად, მერე კი იაკუბუ აიგბენიმ ერთბაშად ორი მიაყოლა: აქედან პირველი პენალტით.

„ფულემმა“ საქმის გამოსწორება პირველი ტაიმის ბოლოდანვე დაიწყო — ენდი კოულმა ლუიშ ბოა მორტეს ჩაწოდებულს დაჰკრა თავი და ერთი ბურთი გაქვითა, ორიოდ წუთში თავად ბოა მორტემ კიდევ ერთი ბურთი მოპარა მასპინძლებს და ტაიმი 3:2 დასრულდა.

იაკუბუ კი შეუჩერებელი იყო: 72-ე წუთზე მან ცაციათი ჩააჭედა ბურთი კარში. „პორტსმუთს“ დაცვა არ უვარგა და კარლოს ბოკანეგრამ კვლავ გაქვითა ერთი ბურთი.

ამ მშრალ ჩამონათვალს იქეთ კი იმალება ღია, დაცვამორყეული თამაში, რომელშიაც ამდენი გოლის მიუხედავად ივარგეს მეკარეებმა, შაკა ჰისლოპმა და ედვინ ვან დერ სარმა, ხოლო თამაშის ბოლო 15 წუთს ისეთი ფეხბურთი გახურდა, რომ ბურთი ხან ერთ საჯარიმოში ტრიალებდა, ხან მეორეში, მეტი კი მაინც ფულემელებმა აацილეს. „პორტსმუთი“ ქულებით გაუსწორდა „ფულემს“, ბურთებით კი აჯობა: ამიტომ, თავად მე-11 ადგილზე დადგა, ლონდონელები კი მე-13-ზე ჩამოქვეითდნენ.

**ირაკლი გამყრელიძე**



ალან შირერი

# კაჭკაჭები თავს ეკებენ

## გესქოინმა ნიუკასლს შირერი ურჩია

„ნიუკასლმა“ გუშინწინ ბობი რობსონი გაათავისუფლა და მის შემცვლელს ეძებს. სავარაუდო კანდიდატები არიან: სტივ ბრიუსი, სემ ალარდაისი და ალან შირერი. ყოფილ ნიუკასლელ პოლ გესქოინს მიაჩნია, რომ რობსონის ადგილი შირერს ეკუთვნის: „მე თუ მკითხავთ, გუნდი ალანს უნდა ჩააბარონ. ფეხბურთი ფრიადზე იცის და ფანებსაც უყვართ. საქმეს კარგად გაუძღვება, რამდენიმე წელიწადში კი მისგან შესანიშნავი მწვრთნელი დადგება“.

„ბირმინგემის“ თავკაც სტივ ბრიუსზე ამავე კლუბის თავმჯდომარე დევიდ გოლდმა თქვა : „ბრიუსი ამბიციურია, მაგრამ ჯერ ახალგაზრდაა და შეუძლია, თავისი ხუთწლიანი კონტრაქტის ბოლომდე აქ იმუშაოს. ყველამ იცის, რომ წარმოშობით ნიუკასლელია და „კაჭკაჭთა“ წინადადება ამ მხრივ მაცდურია, მაგრამ ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს. იგი სიტყვის კაცია და ვფიქრობ, არსად წავა“. ინგლისური მედიის ცნობით, „ნიუკასლს“ ბრიუსის წაყვანა ანუ „ბირმინგემთან“ მისი კონტრაქტის გაწყვეტა 5 მილიონი ევრო დაუჯდება.

„ბოლტონის“ მწვრთნელ სემ ალარდაისის საქმე კი ასეა: კლუბის თავმჯდომარე ფილო გარსტიდს არ სურს წარმატებული კაცის გაშვება, რომლის ხელქვეითაც „ბოლტონი“პრემიერლიგაში ანგარიშგასაწევი ძალა გახდა და ახლა მესამე ადგილზეა. ალარდაისი გარსტიდის წინააღმდეგ ალბათ ვერ წავა.

**ვაჟა ხუციშვილი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეცდომების გასწორება

## ლიპი სისტემას და შემადგენლობას ცვლის



**მარჩელო ლიპი** ამბობს, რომ ისლანდიასთან ამხანაგურ შეხვედრაში დამარცხების შემდეგ გადაწყვიტა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში „სკუადრა აძურა" სხვა სისტემით ათამაშოს. საქმე ის გახლავთ, რომ „იუვენტუსის" ყოფილმა მწვრთნელმა აგვისტოში, სკანდინავიაში 4-3-1-2 განლაგებით ითამაშა და 0:2 წააგო.

„პირველ შეხვედრაში ძალიან დიდი შეცდომა დავუშვი, ვინაიდან აგვისტო იყო და ხალხიც ბევრი მაკლდა, 4-3-1-2 სისტემა არაფრით არ უნდა ამერჩია. ამიტომაც ახლა, მომდევნო ორ შეხვედრაში, 4-4-2 განლაგებით ვითამაშებთ და ვფიქრობ, ეს საუკეთესო გამოსავალი იქნება" — განაცხადა ლიპიმ, რომლის გუნდიც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს ნორვეგიასა და მოლდოვასთან თამაშებით იწყებს.

„ძალიან კარგად ვიცი, ვინ უნდა ვათამაშო, მაგრამ ნორვეგიის თამაშის შემდეგ, მოლდოვასთან შეხვედრაში შეიძლება ბევრი ცვლილება განვახორციელო. ეს იმიტომ შეიძლება გახდეს საჭირო, რომ ის ორი თამაში ოთხდღიან მონაკვეთში გვაქვს, ხოლო ასეთი დატვირთვებისთვის სასურველ ფორმაში არავინ არის" — დასძინა მწვრთნელმა, რომელმაც არ გამოიძახა კრისტიან პანუჩი, ანტონიო კასანო და სიმონე პეროტა.

მოგეხსენებათ, ამ დღეებში კრისტიან პანუჩიმ რამდენიმე საჯარო განცხადება გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ ლიპიმ იგი პირადი ზიზღის გამო არ გამოიძახა და ისიც კი დააყოლა, იმედი მაქვს, ვაჟკაცობა ეყოფა და ამას აღიარებსო.

„პანუჩი პირადი მოტივების გამო კი არა, ტაქტიკური მოსაზრებით დავტოვე — თქვა პასუხად მწვრთნელმა — ხოლო კასანო და პეროტა ფიზიკურ მომზადებაში ჩამორჩებიან სხვებს".

რაც შეეხება „პარმასა" და ოლიმპიური ნაკრების თავდამსხმელს, ალბერტო ჯილარდინოს, იგი ტაქტიკოსმა ბოლოწამს აიყვანა გუნდში და მასთან დაკავშირებით ასე ბრძანებს:

„მწამს ის ძირითადი შემადგენლობისთვის ფეხის აბმას შეძლებს. ალბერტო ჭკვიანი ბიჭია, რომელიც 21- წლამდელთა ევროპის ჩემპიონატისა და ოლიმპიადის გამო ატეხილ ქებას არ აჰყვა და თავბრუ არ დაეხვა".

შემდეგ, მარჩელო ლიპის ჰკითხეს, თუ ვინ იქნება მოახლოებულ შეხვედრაში ნაკრების კაპიტანი.

„სამკლავურს ის გაიკეთებს, ვისაც თამაშის დღეს ყველაზე მეტი მატჩი ექნება ნაკრებში ჩატარებული".

**ბაჩუნა ძიძია**

# მინუს ორი მილიონი



ფაბიო კანავარო

**ოფიციალურად** ჯერ არ გამოუცხადებიათ, მაგრამ „იუვენტუსი" ფაბიო კანავაროთი გაძლიერდა. ტურინელები და „ინტერი" ამ ტრანსფერთან დაკავშირებით ერთი ხნის წინაც იყვნენ მორიგებულნი, მაგრამ მაშინ საკუთრივ ფეხბურთელს არ ჰქონდა „ბებერ ქალბატონთან" თავის პირობებზე ნალაპარაკევი.

ცნობილია, რომ კანავაროსა და „იუვენტუსს" სამწლიანი კონტრაქტი დააკავშირებს ერთმანეთთან და უცნაურია, რომ ფეხბურთელი ამით, ფაქტობრივად, ხელფასის შემცირებას დათანხმდა — მილანში მისი წლიური გასამრჯელო 6 მილიონი დოლარის ტოლფასი იყო, ტურინში კი 4 მილიონამდე იქნება.

ამბობენ, რომ ამ ოპერაციაში „იუვენტუსს" „ინტერისთვის" სატრანსფერო თანხა არ გადაუხდია, რადგან კანავაროს სანაცვლოდ ფაბიან კარინი გადაულოცა. კარინი ურუგვაელი მეკარეა, რომელმაც გუშინწინ გაიარა „ინტერის" ოფისში სამედიცინო შემოწმება და „შავ-ლურჯებთან" ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

**ბაჩუნა ძიძია**

# ოჯახმა ფიოლერი რომში გაუშვა

**მას მერე**, რაც „რომას" სპორტულ დირექტორს, ფრანკო ბალდინის შეხვდა, გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, რუდი ფიოლერი იტალიის დედაქალაქში გადაბარგებასა და თავისი ყოფილი გუნდის გაწვრთნას დაყაბულდა. მოგეხსენებათ, მეუღლის ავადმყოფობის გამო „რომადან" სულ ახლახან დანიშნული ჩეზარე პრანდელი წავიდა და კლუბი გამალებით ეძებდა მის შემცვლელს. ბალდინისთან შეხვედრის შემდეგ ფიოლერმა გერმანულ „ბილდს" უთხრა:

„ძალიან კარგი საუბარი გვქონდა. ოჯახსაც დავეკითხე და „რომაში" მუშაობას დავთანხმდი" — ბრძანა ფიოლერმა.

გუშინ რუდიმ თავის ახალ გუნდში პირველი ვარჯიში ჩაატარა.

**ბაჩუნა ძიძია**






# ახლა ზლატანი იუვეს გამტანია

2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში დავიდ ტრეზეგემ იტალიის ნაკრებს ძალიან ლამაზი გოლი გაუტანა და საფრანგეთი ევროპის ჩემპიონი გახადა. ცოტა ხანში მას „იუვენტუსის" აგენტები დაუკავშირდნენ და გადაიბირეს კიდეც. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე კი იტალიის ნაკრების ჯგუფში ჩარჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შვედი ფორვარდის, ზლატან იბრაჰიმოვიჩის აკრობატული გოლი იყო და აი, ახლა იგი ტურინშია

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი დღით ადრე „იუვენტუსმა" იბრაჰიმოვიჩის გადაბირება მოასწრო. პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ტურინელებმა ზლატანის სანაცვლოდ ამსტერდამის „აიაქსს" 19 მილიონი ევრო ჩაუთვალეს. გადაწყვეტილია, რომ შვედი „ბებერ ქალბატონთან" ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. ასე რომ, 15 სექტემბერს „აიაქსისა" და „იუვენტუსის" ჩემპიონთა ლიგის მატჩში იბრაჰიმოვიჩი ამსტერდამელთა კარს შეუტევს და არა პირიქით.

იტალიელმა ჟურნალისტებმა უკვე მოასწრეს ამ ტრანსფერზე აზრი ალესანდრო დელ პიეროსთვის და მარჩელო ლიპისთვის ეკითხათ.

„ბრწყინვალე შენაძენია, ამას თქმაც არ სჭირდება. მისი შესაძლებლობები ყველამ კარგად იცის. იბრაჰიმოვიჩი გუნდს ნამდვილად გააძლიერებს, ხოლო ძირითად შემადგენლობაში კონკურენციაზე საერთოდ არ ვფიქრობ" — თქვა ტურინელთა კაპიტანმა.

„იუვენტუსის" ყოფილ და იტალიის ნაკრების ამჟამინდელ თავკაც მარჩელო ლიპის კომენტარი კი ასეთია: „ტურინელებმა ძალიან ჭკვიანური სვლა გააკეთეს. მათ შემადგენლობაც მნიშვნელოვნად გაიძლიერეს და ჩემპიონთა ლიგაში მათი ერთ-ერთი კონკურენტიც დაასუსტეს. იბრაჰიმოვიჩი უდავოდ ხელს შეუწყობს ფაბიო კაპელოს გეგმებს".

ფაბიო კაპელო მართლაც კმაყოფილი უნდა იყოს. იგი ცოტა ხნის წინ ახალ ფეხბურთელებს ითხოვდა და ტურინელთა ხელმძღვანელობამ, ლუჩანო მოჯის განცხადების მიუხედავად — ტრანსფერებს აღარ განვახორციელებთო — ტაქტიკოსის სურვილი ფაბიო კანავაროსა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის შეძენით რეალობად აქცია.

გუნდიდან მარკო დი ვაიოს წასვლის შემდეგ „იუვენტუსის" თავდასხმა გაძლიერებას მართლაც საჭიროებდა. ბოლო დროს კანდიდატი სამი იყო — მუტუ, სავიოლა და იბრაჰიმოვიჩი. რუმინელის ვარიანტი ადრევე ჩაიშალა ფინანსური პრობლემების გამო. იგივე დაბრკოლება შეიქმნა სავიოლას შემთხვევაშიც, რომელიც საბოლოოდ „მონაკოში" გაანათხოვრეს. ბოლოს კი, როდესაც „იუვენტუსის" ქომაგებმა ლამის დაიჯერეს ლუჩანო მოჯის განცხადება, „იუვენტუსში" მივიწყებული ზლატან იბრაჰიმოვიჩი გამოჩნდა.

**გიორგი ძაძამიძე**

# დევენპორტი გამამლდა



კალუმ დევენპორტი.

ლონდონის „ტოტენჰემმა“ „ქოვენთრისგან“ მცველი კალუმ დევენპორტი გადაიბირა. 21 წლის ფეხბურთელი ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. დევენპორტი „ტოტენჰემისთვის“ მეთერთმეტე საზაფხულო შენაძენია. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე „მამლები“ ჟაკ სანტინიმ ჩაიბარა და ახალ გუნდს აკეთებს, რომელიც პრემიერლიგაში ჯერჯერობით საკმაოდ წარმატებულად თამაშობენ. „ის ძალიან ნიჭიერია — თქვა ლონდონელთა სპორტულმა დირექტორმა ფრენკ არნესენმა — და ცენტრალურ მცველად გამოგვადგება“.

კალუმ დავენპორტმა „ქოვენთრის“ მაისურით 84 მატჩი გამართა, შარშან კი გუნდის წლის საუკეთესოდ აღიარეს. „ქოვენთრიში გავიზარდე და ბევრი მეგობარი შევიძინე. აქაურობასთან განშორება მიჭირს, მაგრამ პრემიერლიგაზე უარს ვერ ვიტყვი“ — განაცხადა ახალმა „მამალმა“.

„ვწუხვარ, რომ დევენპორტი მიდის, თუმც ნიჭიერი ახალგაზრდის დაბრკოლებას არ ვაპირებთ. დარწმუნებული ვარ, იგი უმაღლეს დონეზე თამაშს შეძლებს და ასე თუ გააგრძელა, დიდი ფეხბურთელი დადგება“ — თქვა „ქოვენთრის“ მწვრთნელმა პიტერ რიდმა.

„მისი კონტრაქტი წლის ბოლოს იწურებოდა, ახლის გაფორმებაზე კი უარის გვითხრა, ამიტომ გადავწყვიტეთ, გაგვეყიდა, რათა მთლად უფულოდ არ დავრჩენილიყავით“ — გულახდილია კლუბის თავმჯდომარე.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მუშტი-კრივის პრემიერლიგა
## გაზაევის არმიამ რამენსკოე დაარბია

გასულ უქმეებზე რამენსკოეში „სატურნისა“ და ცესკას მატჩის მიწურულს მოედანზე ისეთი ჩხუბი ატყდა, ვისი ფეხი ვის ბუცში იყო, ვერ გაარკვიეს.

ცესკა მასპინძლებს 1:0-ს უგებდა, თამაში დასასრულისკენ მიათრევდა, როცა სტუმარ ჟირკოვს „სატურნის“ არგენტინელი ადრიან ბასტია ეუხეშა. „ჩვენ ვერ მივხვდით, რატომ დაიწყო ჩხუბი — თქვა ნამატჩევს რამენსკოელმა მცველმა ედუარდ მორმა — ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყო. ბასტიამ ჟირკოვი წააქცია, რომელმაც უხეშობითვე უპასუხა. წაიძიძგილავეს და ასევე ჩაიფარცხებოდა, ძმები ბერეზუცკები რომ არ მოცვენილიყვნენ. მისდგნენ და ყველა ჩვენებურს ცემა დაუწყეს. აი, აქედან ავირიეთ ერთმანეთში. ცესკელი რახიმიჩი და სემაკი კი აშველებდნენ, მაგრამ რას გახდებოდნენ. სხვათა შორის, მატჩის მსვლელობისასაც ჩანდა, რომ ვითარება ნელ-ნელა იძაბებოდა, რადგან მსაჯი მოვალეობას ვერ ასრულებდა. თავის დროზე დასასჯელები არ დასაჯა. ძმები ბერეზუცკები და შემბერასი რომ დაეშოშმინებინა, დაკა-დაკა ეგებ არც მომხდარიყო“.

ცესკას ფორვარდი დმიტრი კირიჩენკო: „ორივე გუნდის ფეხბურთელები ერთმანეთს ფეხებში ხშირად ურტყამდნენ და ბოლოს ემოციებმა ამოხეთქეს. გასახდელში გაზაევმა გვითხრა, არ ინერვიულოთ, მეტოქე კი უხეშობისთვის აუცილებლად უნდა დაისაჯოსო. ჩემს კარიერაში მსგავსი ჩხუბი არ მინახავს“.

ცემა-ტყეპაში მხოლოდ მოთამაშეები კი არა, მწვრთნელები და გუნდების ტექნიკური პერსონალიც მონაწილეობდნენ თავის ექიმ-მასაჟისტებიანად. მსაჯმა სტუმართაგან იური ჟირკოვი და ვასილი ბერეზუცკი, ხოლო მასპინძელთაგან ჯამბულათ ბაზაევი და ადრიან ბასტია გააძევა. რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალურმა დირექტორმა ვლადიმირ როდიონოვმა განაცხადა, რომ სადისციპლინო კომიტეტი მომხდარს უახლოეს დღეებში გაარჩევს და ჩხუბისთავებს 5-დან 10 მატჩამდე დისკვალიფიკაციას გამოუწერს, ხოლო კლუბებს გვარიან თანხას გადაახდევინებს.

**ვაჟა ხუციშვილი**




## ფეხბურთის რუკასთან

**ბრაზილიელმა** ფორვარდმა ედუმ ვიგოს „სელტა“ დატოვა და პრიმერადივიზიონს დაუბრუნდა. იგი „ბეტისში“ გადაბარგდა და 2009 წლამდე სევილიაში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ აქამდე „ბეტისმა“ ედუს თანამემამულე და ასევე თავდამსხმელი რიკარდო ოლივეირა „ვალენსიადან“ შეიძინა. გარდა ამისა, სევილიელებმა „ტორინოდან“ 25 წლის მცველი პაოლო კასტელინი გადაიბირეს.

**ისრაელის** „მაკაბი“ ჩემპიონთა ლიგის დაწყებამდე ორი ფეხბურთელით გაძლიერდა. თელავიველებმა არნემის „ვიტესიდან“ ერთი სეზონით ინათხოვრეს 21 წლის კამერუნელი ემილ მბომა. გარდა ამისა, „მაკაბიმ“ 58 ათასი ევროს სანაცვლოდ ბეერშევას „ჰაპოელიდან“ 24 წლის ნახევარმცველი ელად ბოუნფალდი შეიძინა. ისინი სავარაუდოდ 15 სექტემბერს მიუნხენის „ბაიერნის“ წინააღმდეგ ითამაშებენ.

**ჰოლანდიურმა** „აიაქსმა“ „ნიუილს ოლდ ბოიზიდან“ 23 წლის ნახევარმცველი მაურო როსალესი შეიძინა და ახლა ცდილობს, ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში შეიყვანოს. თუმცა, თუ ეს არ მოხერხდა, ამსტერდამელთა თავკაცობის თქმით, შესაძლოა, ტრანსფერი გაუქმდეს კიდეც. აქვე შეგახსენებთ, რომ როსალესი ცოტა ხნის წინ არგენტინის ნაკრებთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

**თურქულმა** „ფენერბაჰჩემ“ თავისი ყოფილი გოლკიპერი რუშთუ რექბერი ერთი წლით ინათხოვრა „ბარსელონადან“. თურქეთის ნაკრების კარის დარაჯი დაახლოებით 15 თვის წინ გადაბარგდა კატალონიაში, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ შეძლო და უკვე დიდი ხანია, გუნდის გამოცვლა უნდოდა. „ძალიან მიხარია, რომ მშობლიურ კლუბში დავბრუნდი. დიდი სიამოვნებით ჩავიცვამ „ფენერბაჰჩეს“ ფორმას“ — თქვა 31 წლის რუშთუმ. სავარაუდოდ, მას ძირითადი მეკარის ადგილი გარანტირებული არ ექნება, რადგანაც სტამბოლელთა ამჟამინდელი გოლკიპერი ვოლკან დემირელი არცთუ ურიგოდ ირჯება.

**ესპანურ** „ვალენსიას“ ერთ-ერთი წამყვანი მცველი, რობერტო აიალა დაახლოებით ორი თვით გამოაკლდა. მან ოლიმპიური თამაშების ფინალში მუხლის ტრავმა მიიღო და უკვე ოპერაციაც გაიკეთა. ექიმების თქმით, რობერტო 6-8 კვირა დაისვენებს. ასე რომ, გარდა პრიმერადივიზიონის საწყისი მატჩებისა, ჩემპიონთა ლიგის პირველ სამ შეხვედრასაც გამოტოვებს.

**ინგლისურმა** „პორტსმუთმა“ თავდასხმა გააძლიერა. რამდენიმე დღის წინ კლუბმა „პრესტონიდან“ იამაიკელი ფორვარდი რიკარდო ფულერი შეიძინა. ხოლო ახლა „პორტსმუთმა“ გასულ სეზონში სერია A-ში არცთუ ურიგოდ მოთამაშე სენეგალელი დომანსი კამარა დაიმატა. ინგლისურმა კლუბმა აფრიკელ ფორვარდში „მოდენას“ 2 მილიონი გირვანქა გადაუხადა.

**შვეიცარიის** ნაკრების მცველი მარიო კანტალუპი გერმანულ „ნიურნბერგში“ გადავიდა. ბუნდესლიგაში წლეულს დაბრუნებულმა „ნიურნბერგმა“ 30 წლის ფეხბურთელთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ხოლო შვეიცარიულ „ბაზელს“ კომპანსაციის სახით 600 ათასი ევრო გადაუხადა.

**ინგლისურმა** „ჩელსიმ“ კიდევ ერთი პორტუგალიელი ფეხბურთელი შეიძინა. ლონდონელებმა „პენაფიელიდან“ 20 წლის პერსპექტიული ნახევარმცველი (რომელსაც თამაში დაცვაშიც შეუძლია) ნუნუ მორაისი გადაიბირეს. მხარეებმა სამწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი. ტრანსფერის ფინანსური მხარე არ ხმაურდება.

**ირლანდიის** ფეხბურთის ფედერაციას შოტლანდიასთან ერთად ევრო 2012-ის მასპინძლობის პრეტენზია აქვს. „ჩვენ ამ მნიშვნელოვანი ტურნირის მასპინძლობა გვინდა და ვფიქრობ, მზადაც ვართ ამისთვის. სათანადო წინადადებით უკვე მივმართეთ შოტლანდიელ კოლეგებს“ — აღნიშნა ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ფრენ რუნიმ. შეგახსენებთ, რომ ამ წყვილს ევრო 2008-ის მასპინძლობაც სურდა, მაგრამ ეს პატივი წილად ავსტრია-შვეიცარიას ხვდა.

# ეტოომ, ეს ერთი და...



„ბარსელონაში" გადასული სამუელ ეტოო პრიმერადივიზიონის პირველ ტურში „რასინგთან" ბოლომდე დაიხარჯა და დებიუტი გოლითაც გაილამაზა. კამერუნელი ფორვარდი 2004-05-ის სეზონში ახალ გუნდთან ერთად დიდ გამარჯვებებს გეგმავს და „რასინგთან" მატჩის მერე ესპანურ „ლიბრედირექტოს" სამომავლო ოპტიმიზმზე გულღიად ესაუბრა

— „რასინგთან" მატჩის მერე რას გვეტყვით?

— ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ პრიმერადივიზიონი გამარჯვებით დავიწყეთ. იმედია, დანარჩენ შეხვედრებშიც ასე გავაგრძელებთ.

— „ბარსას" შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანეთ...

— ცხადია, ძალიან მიხარია, თუმც დარწმუნებული იყავით, გოლებით „ბარსას" ქომაგებს კიდევ ბევრჯერ გავახარებ.

— მეტოქის საჯარიმოსთან „ბარსელონამ" 17 საგოლე ეპიზოდი შექმნა. ვფიქრობ, ეს გუნდის შეტევისკენ სწრაფვას მიანიშნებს...

— მართალს ამბობთ. კარგი გუნდი გვყავს და მთავარია, საგოლე მომენტების გამოყენება შევძლოთ. ალბათ, სეზონის მიწურულს ჯილდოს გარეშე არ დავრჩებით.

— პირველი გოლი ვის მიუძღვენით?

— ჩემს ძველ მეგობრებს „მალიორკადან" — ბიჭები მძიმე დღეებში ძალიან დამეხმარნენ. აგრეთვე ყველა იმ მწვრთნელს, ვისთანაც კარგი მოგონებები მაკავშირებს.

— პენალტების შესრულება მოგწონთ?

— თერთმეტმეტრიანი დარტყმების დროს წინასწარ ვგრძნობ, გოლს გავიტან თუ არა. როდესაც ჩემს თავში დარწმუნებული ვარ, პენალტს უყოყმანოდ ვარტყამ, თუ არა და, თავს ვარიდებ.

— ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „ბარსას" მთავარმეტოქე, რა თქმა უნდა, მადრიდის „რეალი" იქნება...

— ცდებით, ჩვენთვის ნებისმიერი მეტოქე მნიშვნელოვანია. სულაც არ მინდა, „რეალი" „ბარსელონას" აკვიატებულ მეტოქედ ჩავთვალონ. ტურიდან ტურამდე მოგებას ვეცდებით და ბოლოს რომელი გუნდიც ყველაზე შესაფერისი მოწინააღმდეგე იქნება, პრიმერას ჩემპიონობისთვის იმას შევეჯიბრებით.

— გამოჩნდა, რომ „ბარსას" რონალდონიოს გარეშეც ჩინებულად შეუძლია თამაში...

— რონალდინიო საოცარი ფეხბურთელია. მიუხედავად ამისა, მატჩების მოგებას უმისოდაც შევძლებთ. ღვთის მადლით, ძლიერი შემადგენლობა გვყავს.

— „მალიორკასა" და „ბარსელონას" შორის რა განსხვავებას ხედავთ?

— მოდით, ამაზე მე ნუ შემეკითხებით, უმჯობესია, იმათ ილაპარაკონ, ვისაც, ჩემი თამაში ორივე გუნდში უნახავს.

— თანაგუნდელებმა პირველი გოლის შემდეგ რა გითხრეს?

— არაფერი განსაკუთრებული. მომილოცეს და გამარჯვებით გაიხარეს.

# შძლები ანგულოს დაბრუნება



ესპანეთსა და ინგლისს შორის ხანგრძლივი მიმოსვლის შემდეგ მიგელ ანხელ ანგულომ საბოლოოდ მაინც კლაუდიო რანიერის „ვალენსიაში" დარჩენა ამჯობინა. ანგულოს „არსენალში" ტრანსფერი თითქოს გადაწყვეტილი ამბავი იყო — ესპანელმა ლონდონში სამედიცინო შემოწმებაც გაიარა და ინგლისელებიც მზად იყვნენ მასში 5 მილიონი ევრო გადაეხადათ — მაგრამ გუშინ, იმის ნაცვლად, რომ „მეთოფეთა" მაისურა მოერგო, ფეხბურთელმა „ვალენსიას" სპორტულ დირექტორ მანუელ იორენტეს დაურეკა და შეატყობინა, კვლავაც რანიერის შეგირდად დარჩენა მსურსო.

„ანგულო „ვალენსიასთვის" საჭირო ფეხბურთელია და ისევ ჩვენთან ითამაშებს. „არსენალთან" არშემდგარ კონტრაქტზე კი მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ — მიგელ ანხელის ლონდონიდან დაბრუნება მის ჯანმრთელობას არ უკავშირდება. ანგულო შესანიშნავ ფორმაშია და სამედიცინო შემოწმებაც წარმატებით გაიარა" — განაცხადა ვალენსიელთა პრეზიდენტმა ხაიმე ორტიმ.

„მესტალიას" ერთგული მოთამაშე ახალი ესპანური ხელშეკრულებით სეზონში 1,2 მილიონ ევროს მიიღებს. კლაუდიო რანიერი კი წესით და რიგით ძალიან გახარებული უნდა იყოს — უძღები შვილი დაიბრუნა. საქმე ის გახლავთ, რომ ვიდრე ანგულო პირინეებსა და ალბიონს შუა მიდი-მოდიოდა, მისმა იტალიელმა მაესტრომ „ლიბრედირექტოს" ჟურნალისტს გულისტკივილით გაუმხილა: „ვალენსიადან" ანგულოს წასვლა ჩემთვის შვილის დაკარგვის ტოლფასიაო.

**ლადო ხომერიკი**

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. I ტური

**ვალენსია 2:1 ვილიარეალი**

1:0 მარჩენა (26), 2:0 ბარახა (38), 2:1 ფორლანი (78)

ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, მარჩენა, ნავარო, კარბონი, რუფეტე (სისოკო 73), ალბელდა, ბარახა, ვისენტე (ხისკო 79), მისტა, დი ვაიო (აიმარი 68)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

ვილიარეალი: რეინა, არმანდო სა, ალვარესი, გონსალო, ვენტა, კაცორლა (ფონტი 62), ხოსიკო (ბატალია 77), სენა, რიკელმე, ფორლანი, ანდერსონი (ხ. ნადალი 84)

მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი

გაფრთხილება: ალბელდა, მარჩენა, ალვარესი, სა, ბატალია

მსაჯი: რამირეს დომინგესი

48 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სარაგოსა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ატლეტიკო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ვალენსია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სევილია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| დეპორტივო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ნუმანსია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სოსიედადი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ოსასუნა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბეტისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბილბაო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლევანტე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ესპანიოლი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ვილიარეალი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ალბასეტე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მალიორკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ხეტაფე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| რასინგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| მალაგა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. XVIII ტური

**ელფსბორგი 0:1 კალმარი**

**იორებრო 0:2 იურგორდენი**

**იორგრიტე 0:2 მალმიო**

**ჰამარბი 1:1 ჰალმსტადი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 18 | 10 | 6 | 2 | 31:12 | 36 |
| ჰალმსტადი | 18 | 10 | 5 | 3 | 37:20 | 35 |
| გიოტებორგი | 18 | 10 | 4 | 4 | 23:12 | 34 |
| კალმარი | 18 | 7 | 8 | 3 | 20:14 | 29 |
| ჰამარბი | 18 | 8 | 5 | 5 | 22:18 | 29 |
| იურგორდენი | 18 | 6 | 7 | 5 | 25:24 | 25 |
| ელფსბორგი | 18 | 6 | 5 | 7 | 17:24 | 23 |
| ჰელსინგბორგი | 18 | 5 | 7 | 6 | 34:24 | 22 |
| სუნდსვალი | 18 | 5 | 7 | 6 | 19:21 | 22 |
| აიკ | 18 | 4 | 6 | 8 | 15:24 | 18 |
| იორებრო | 18 | 4 | 6 | 8 | 20:35 | 18 |
| ლანდსკრონა | 18 | 3 | 7 | 8 | 17:26 | 16 |
| იორგრიტე | 18 | 3 | 7 | 8 | 15:25 | 16 |
| ტრელებორგი | 18 | 2 | 6 | 10 | 14:30 | 12 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი. V ტური

**ტრუა 1:2 ლორიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე ავრი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| რეიმსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:5 | 10 |
| სედანი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| ბრესტი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| ლორიანი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:7 | 9 |
| კლერმონი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 8 |
| გენიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| ამიენი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| გრენობლი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:10 | 8 |
| დიჟონი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| ნანსი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| ლავალი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | 7 |
| ლე მანი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:3 | 6 |
| ნიორი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| შატორუ | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ანჟე | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ტრუა | 5 | 1 | 1 | 3 | 9:11 | 4 |
| მონპელიე | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| კრეტეი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| გენგამი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. III ტური

**კიოლნი 2:0 აინტრახტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიურტი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 9 |
| აუე | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| დუისბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ალემანია | 3 | 1 | 2 | 0 | 6:2 | 5 |
| ბურგჰაუზენი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| ერფურტი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| კოტბუსი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| მიუნხენი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| უნტერჰახინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| კიოლნი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| აინტრახტი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ტრირი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ობერჰაუზენი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ესენი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:6 | 2 |
| ალენი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ზაარბრიუკენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| კარლსრუე | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XIX ტური

**ტრომსიო 2:0 ბოდიო გლიმტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 19 | 11 | 6 | 2 | 42:21 | 39 |
| ტრომსიო | 19 | 11 | 2 | 6 | 32:23 | 35 |
| ვოლერენგა | 19 | 8 | 7 | 4 | 23:17 | 31 |
| ჰამ კამი | 19 | 8 | 6 | 5 | 27:26 | 30 |
| ბრანი | 19 | 9 | 2 | 8 | 33:31 | 29 |
| ლილესტრიომი | 19 | 7 | 7 | 5 | 37:24 | 28 |
| ლინი | 19 | 7 | 7 | 5 | 23:19 | 28 |
| ოდ გრენლანდი | 19 | 6 | 7 | 6 | 30:31 | 25 |
| ბოდიო გლიმტი | 19 | 7 | 3 | 9 | 25:32 | 24 |
| მოლდე | 19 | 4 | 8 | 7 | 23:28 | 20 |
| ვიკინგი | 19 | 3 | 10 | 6 | 17:25 | 19 |
| სტაბეკი | 19 | 5 | 4 | 10 | 18:29 | 19 |
| ფრედრიკსტადი | 19 | 5 | 3 | 11 | 30:43 | 18 |
| სოგნდალი | 19 | 3 | 6 | 10 | 29:40 | 15 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. I ტური

**აკადემიკა 2:2 ბრაგა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სეტუბალი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ბელენენსეში | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| სპორტინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ბენფიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ბოავიშტა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| აკადემიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ბრაგა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| გიმარაეში | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ეშტორილი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| მორეირენსე | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| რიუ ავე | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ჟილ ვისენტე | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ბეირა მარი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ნასიონალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| პენაფიელი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| მარიტიმუ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. IV ტური

**ლიბერეცი 3:0 სიგმა**

**სლავია 3:0 ბრნო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 4 | 3 | 1 | 0 | 12:5 | 10 |
| ტეპლიცე | 4 | 3 | 1 | 0 | 6:3 | 10 |
| ბრნო | 4 | 3 | 0 | 1 | 3:3 | 9 |
| სინოტი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| ლიბერეცი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 6 |
| სლავია | 4 | 2 | 0 | 2 | 5:3 | 6 |
| სიგმა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| ბანიკი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ზლინი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| პრჟიბრამი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ბუდეიოვიცე | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| იაბლონეცი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| ბოლესლავი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| ოპავა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |
| ბლშანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| დრნოვიცე | 4 | 0 | 0 | 4 | 3:7 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

## ივან სამორანო

# მრისხანე ტილი



ივან ლუის სამორანო 1964 წლის 18 იანვარს ლუის და ალისა სამორანოების ოჯახში მოევლინა ქვეყნიერებას. სამი წლის შემდეგ ოჯახი სალვადორში, კერძოდ მაიპუში გადასახლდა და სწორედ იქ დაიწყო მომავალმა ფეხბურთელმა ბურთის გორება.

დიახ, ფეხბურთელ შვილზე მეოცნებე მამამ ივანი სამი წლისა მიიყვანა ფეხბურთზე, მაგრამ მთავარი ამბები მას მერე მოხდა, რაც ბავშვი 10 წლისა შესრულდა და ახალ გუნდში, „ბენტო ხუარესში“ გადავიდა. იქ, თავიდან შუა ნახევარმცველად დააყენეს, მაგრამ შეტევაში მის ჩართვებსა და მიხრა-მოხრას რომ დააკვირდნენ, თავდასხმაში გადაყვანა ამჯობინეს.

მაშინვე შეარქვეს ივანს მეტსახელი — პიოხო ანუ ტილი, რომელიც ახლა უკვე ფაქტია, მთელი ცხოვრება გაჰყვება და მაშინვე გამოიკვეთა მისი თავურების თავისებურება — მაღალი ნახტომი და ჰაერში დაკიდების უნარი, რასაც მამა იმით უნვითარებდა, რომ შინ, ჭალზე რაღაც-რაღაცებს უკიდებდა, ხოლო იგი უნდა ამხტარიყო, წამით გარინდულიყო და თავი მიეკრა. დროთა განმავლობაში მამამ შვილს ჭალისკენ პირდაპირ კიბიდან ხტომაც მოსთხოვა.

1980 წელს მამა პერიტონიტმა იმსხვერპლა და ივანს სამუშაოზე მოუწია სიარულმა. გაირკვა, რომ ვარჯიშისა და მუშაობის შეთავსებით არაფერი დაშავებულა — 1985 წელს სამორანო ჩილეს „კობრესალში“ აჰყავთ, მაგრამ პირველ სეზონში მხოლოდ სამ შეხვედრაში იღებს მონაწილეობას და მეორე დივიზიონის „კობრე ანდინოში“ გადაჰყავთ, სადაც 19 მატჩში 27 გოლი გააქვს. იმხანად დედის და დის, ერიკას თანხლებით ყოველ მატჩზე ავტობუსით სხვა ქალაქში უწევდა წასვლა.

შემდეგ სამორანო „კობრესალში“ ბრუნდება და ისევე, როგორც „კობრე ანდინოში“, უფრო მეტი გოლი გააქვს, ვიდრე თამაშებს ატარებს.

1989 წელს ჩილეს ნაკრები კოპა ამერიკას ფინალში გადის და ურუგვაისთან 0:1-ს აგებს. ეს გახლდათ ივანის პირველი შეჯიბრება ეროვნული გუნდის შემადგენლობაში, თუმც იმ „კოპაზე“ მხოლოდ ერთხელ შეუშვეს მოედანზე და ისიც მაშინ, როდესაც ანგარიში 4:0 იყო ჩილელთა სასარგებლოდ.

ამის შემდეგ სამორანოს თითქოს იტალიური „ბოლონია“ ყიდულობს, მაგრამ საბოლოოდ უარს ამბობს და ბიჭი შვეიცარიულ „სენტ გალენში“ მიდის, სადაც ბომბარდირი ხდება და მისით „სევილია“ ინტერესდება — მწვრთნელს, ვისენტე კანტატორეს თავდასხმაში ტონი პოლსტერის მეწყვილედ ლონიერი და იაფი თავდამსხმელი სჭირდება.

„სევილიაში“, პირველ წელიწადს, კანტატორეც გვარიანად ლანძღეს და სამორანოც. თავად განსაჯეთ, პოლსტერს 13 გოლი გააქვს, ხოლო დიდი ქება-დიდებით ნაყიდ ჩილელს მხოლოდ 9. გალანძღულ ივანს მეტნაკლებად 1991 წლის კოპა ამერიკაზე გამოსვლა აწყნარებს — ჩილე ჯგუფიდან გადის, მაგრამ საბოლოოდ ბრაზილიისა და არგენტინის შემდეგ მესამე ადგილს იკავებს. სამორანოს ანუ, როგორც მაშინ უძახდნენ, ბამ-ბამს ამ შეჯიბრებაში ხუთი გოლი გააქვს და მხოლოდ ერთით ჩამორჩება ბომბარდირს, გაბრიელ ბატისტუტას.

შემდეგ სეზონში სამორანო უკვე ჩინებულად თამაშობს და... ტელეფონი რეკავს. მისი და ერიკაა, ძმას ატყობინებს, რომ თხოვდება და ქორწილისთვის მოემზადოს. გადის რამდენიმე საათი და ისევ რეკავს ტელეფონი. მისი აგენტია — „რეალთან“ გარიგება მიღწეულია!

პირველი სეზონი. 26-გოლიან სამორანოს ერთადერთი თავდამსხმელი, 29 გოლიანი ბარსელონელი ბრაზილიელი რომარიო სჯობნის, მაგრამ მეორე სეზონში მისი შედეგიანობა 11 გოლამდეა დასული და ქომაგები ამულეტებსაც კი უგზავნიან, იქნებ გიშველოსო.

არაფერი არ გამოდის. მართალია, ევროთასებზე ივანს გოლი გოლზე გააქვს, მაგრამ ესპანეთის ჩემპიონატში ვერა და ვერ უმჯობესდება მდგომარეობა.

1996 წელს ივან სამორანო „ინტერში“ გადადის და სამ სეზონში მხოლოდ 17 გოლი გააქვს. 1997 წელს უეფას თასის ფინალში გადის, სადაც „შალკეს“ ხვდება. პირველ შეხვედრას „შალკე“ იგებს 1:0, მეორეში კი მილანელები უამრავი შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთხელ სარგებლობენ — ამას ივანი აკეთებს — თუმცა შემდეგ, პენალტებში 1:4 მარცხდებიან და რაც ყველაზე ირონიულია თამაში სწორედ მაშინ წყდება, როდესაც იენს ლემანი სამორანოს დარტყმულს იგერიებს. სამაგიეროდ, შემდეგ სეზონში, კვლავ უეფას თასის ფინალში „ლაციოს“ ხვდება და 3:0-ს უგებს.

2001 წელს სამორანო მექსიკურ „ამერიკაში“ გადადის. მიზეზი: „ინტერში“ ის უკვე სათადარიგოდ ჩამოყალიბდა. 14 იანვარს იგი ახალ კლუბში მთელ 90 წუთს თამაშობს და ჰეთ თრიქსაც ასრულებს. იმავე წელიწადს ასრულებს სანაკრებო კარიერას — სადაც მარსელო სალასთან ერთად ყველაზე მეტი გოლის ავტორია. შემდეგ კი... მამის ოცნებას ასრულებს და ჩილეს ცნობილი გუნდის „კოლო კოლოს“ მაისურით ასრულებს კარიერას.

2003 წლის 22 დეკემბერს სამორანოს გამოსათხოვარ შეხვედრაში მსოფლიოს ნაკრებმა ჩილესას მოუგო 5:2.

**პაპუნა ბედია**










ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი & კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შოტლანდია. I დივიზიონი. V ტური | | | | | | |
| | | 4 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 195 | ერდრი-ქუინი | 2,15 | 3,5 | 2,7 | 1,33 | 1,19 | 1,52 |
| 18.00 | 196 | კლაიდი-სტ.მირენი | 1,8 | 3,5 | 3,4 | 1,18 | 1,17 | 1,72 |
| 18.00 | 197 | ჰამილტონი-სტ.ჯონსტონი | 2,45 | 3,5 | 2,3 | 1,44 | 1,18 | 1,38 |
| 18.00 | 198 | პარტიკი-ფოლკირკი | 1,9 | 3,5 | 3,2 | 1,23 | 1,19 | 1,67 |
| 18.00 | 199 | რეითი-როსი | 2,5 | 3,5 | 2,25 | 1,45 | 1,18 | 1,36 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი. V ტური | | | | | | |
| | | 4 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 202 | ალოა-ეარი | 2,5 | 3,5 | 2,25 | 1,45 | 1,18 | 1,36 |
| 18.00 | 203 | ბერიკი-დამბარტონი | 2,25 | 3,5 | 2,5 | 1,36 | 1,18 | 1,45 |
| 18.00 | 204 | ფორფარი-სტირლინგი | 2,2 | 3,5 | 2,6 | 1,35 | 1,19 | 1,49 |
| 18.00 | 205 | მორტონი-არბროთი | 1,4 | 4,2 | 6,0 | 1,04 | 1,13 | 2,47 |
| 18.00 | 206 | სტრანრარი-ბრეჩინი | 2,2 | 3,5 | 2,6 | 1,35 | 1,19 | 1,49 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი. V ტური | | | | | | |
| | | 4 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 209 | ისტ სტირლინგი-ელგინი | 4,4 | 4,0 | 1,5 | 2,09 | 1,11 | 1,09 |
| 18.00 | 210 | გრეტნა-კოუდენბითი | 1,4 | 4,2 | 6,0 | 1,04 | 1,13 | 2,47 |
| 18.00 | 211 | მონტროუზი-ალბიონი | 1,85 | 3,5 | 3,3 | 1,21 | 1,18 | 1,69 |
| 18.00 | 212 | პიტერჰედი-ისტ ფაიფი | 1,55 | 3,8 | 4,8 | 1,1 | 1,17 | 2,12 |
| 18.00 | 213 | სტენჰაუსმუირი-ქუინზ პარკი | 1,85 | 3,5 | 3,3 | 1,21 | 1,18 | 1,69 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი. VI ტური | | | | | | |
| | | 3 სექტემბერი | | | | | | |
| 22.00 | 254 | კლერმონი-სედანი | 2,2 | 2,8 | 3,4 | 1,23 | 1,33 | 1,53 |
| 22.00 | 255 | კრეტეი-ბრესტი | 2,1 | 2,8 | 3,6 | 1,19 | 1,32 | 1,57 |
| 22.00 | 256 | გენიონი-ლავალი | 1,8 | 2,9 | 4,6 | 1,11 | 1,29 | 1,77 |
| 22.00 | 257 | გენგამი-დიჟონი | 1,8 | 2,9 | 4,6 | 1,11 | 1,29 | 1,77 |
| 22.00 | 258 | ლე მანი-ლე ავრი | 2,2 | 2,8 | 3,4 | 1,23 | 1,33 | 1,53 |
| 22.00 | 259 | ლორიანი-ანჟე | 1,65 | 3,2 | 5,3 | 1,08 | 1,25 | 1,99 |
| 22.00 | 260 | ნიორი-მონპელიე | 2,15 | 2,8 | 3,5 | 1,21 | 1,33 | 1,55 |
| 22.00 | 261 | რეიმსი-გრენობლი | 1,8 | 2,8 | 4,8 | 1,09 | 1,3 | 1,76 |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 20.00 | 262 | ამიენი-შატორუ | 1,8 | 2,9 | 4,6 | 1,11 | 1,29 | 1,77 |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 22.15 | 263 | ნანსი-ტრუა | 1,75 | 3,0 | 4,8 | 1,1 | 1,28 | 1,84 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი. IV ტური | | | | | | |
| | | 3 სექტემბერი | | | | | | |
| 22.00 | 268 | სპარტა-ემენი | 1,55 | 3,8 | 4,8 | 1,1 | 1,17 | 2,12 |
| 22.00 | 269 | ვენლო-ჰაარლემი | 1,55 | 3,8 | 4,8 | 1,1 | 1,17 | 2,12 |
| 22.00 | 270 | ზვოლე-ოსი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 22.00 | 271 | აპელდორნი-ჰელმონდი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 22.00 | 272 | ვეენდამი-ექსელსიორი | 2,45 | 2,4 | 2,35 | 1,21 | 1,19 | 1,18 |
| 22.00 | 273 | დორდრეხტი-ჰერაკლესი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 22.00 | 274 | ეინდჰოვენი-ვოლენდამი | 3,5 | 3,6 | 1,75 | 1,77 | 1,16 | 1,17 |
| 22.00 | 275 | სიტარდი-იგლსი | 2,4 | 3,4 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,4 |
| 22.00 | 276 | მაასტრიხტი-კამბური | 2,35 | 3,4 | 2,45 | 1,38 | 1,19 | 1,42 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი. XXI ტური | | | | | | |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 332 | ბრინი-მოსი | 1,8 | 3,6 | 3,3 | 1,19 | 1,16 | 1,72 |
| 18.00 | 333 | მანდალი-სკეიდი | 1,65 | 4,0 | 3,8 | 1,16 | 1,15 | 1,94 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 334 | პორს გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი | 2,3 | 3,8 | 2,35 | 1,43 | 1,16 | 1,45 |
| 18.00 | 335 | რაუფოსი-კონგსვინგერი | 2,1 | 3,8 | 2,6 | 1,35 | 1,16 | 1,54 |
| 18.00 | 336 | ტრომსდალენი-ალესუნდი | 4,8 | 5,0 | 1,35 | 2,44 | 1,05 | 1,06 |
| 18.00 | 337 | ვარდ ჰაუგესუნდი-ჰიონეფოსი | 2,25 | 3,8 | 2,4 | 1,41 | 1,16 | 1,47 |
| | | ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXII ტური | | | | | | |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 19.30 | 340 | ინტერი-ჯაზი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 19.00 | 341 | ლაჰტი-ჰაკა | 3,1 | 3,1 | 2,15 | 1,55 | 1,26 | 1,26 |
| 19.00 | 342 | ჰიკ-მიუპა | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 19.00 | 343 | ტპ 47-კტპ | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| | | ირლანდია. პრემიერლიგა. XXV ტური | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 22.30 | 355 | უოტერფორდი-შელბურნი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,52 | 1,26 | 1,28 |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 22.45 | 353 | დუბლინი-ბოჰემიანი | 3,4 | 3,2 | 1,95 | 1,64 | 1,23 | 1,21 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. I ტური | | | | | | |
| | | 3 სექტემბერი | | | | | | |
| 22.00 | 363 | ლიბერეცი-ბლშანი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| | | ბრაზილია. სერია A. XXVIII ტური | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 03.30 | 368 | კრიციუმა-სან კაეტანო | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 03.30 | 369 | ფიგეირენსე-გოიასი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 03.30 | 370 | ფლუმინენსე-ინტერნასიონალი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 03.30 | 371 | სან პაულუ-კურიტიბა | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 03.30 | 372 | კრუზეირო-პარანა | 1,35 | 4,2 | 7,0 | 1,02 | 1,13 | 2,62 |
| 04.50 | 373 | პონტე პრეტა-პალმეირასი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 04.50 | 374 | ჟუვენტუდი-სანტოსი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 04.50 | 375 | კორინთიანსი-ატლეტიკო მნ | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 03.30 | 376 | პაისანდუ-ბოტაფოგო | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 03.30 | 377 | გრემიო-ვასკუ და გამა | 2,05 | 3,1 | 3,3 | 1,23 | 1,26 | 1,59 |
| 03.30 | 378 | ფლამენგო-ვიტორია | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 03.30 | 379 | ატლეტიკო პრ-გუარანი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| | | აშშ. MLS | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 04.30 | 386 | ჩიკაგო-კანზასი | 2,7 | 3,1 | 2,35 | 1,44 | 1,25 | 1,33 |
| | | იტალია. თასი. I ეტაპი | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 22.30 | 402 | კომო-პიაჩენცა | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,85 | 1,22 | 1,11 |
| 22.30 | 403 | ტერნანა-რიმინი | 1,5 | 3,3 | 6,5 | 1,03 | 1,21 | 2,18 |
| 22.30 | 404 | ფიორენტინა-ვერონა | 1,25 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,09 | 2,95 |
| 22.30 | 405 | პესკარა-პერუჯა | 3,5 | 3,1 | 1,9 | 1,64 | 1,23 | 1,17 |
| | | მჩ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 4 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 004 | ირლანდია-კვიპროსი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 18.00 | 005 | ფინეთი-ანდორა | 1,04 | 8,0 | 20,0 | 1 | 1 | 10 |
| 18.00 | 006 | ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი | 3,5 | 3,1 | 2,05 | 1,64 | 1,29 | 1,23 |
| 19.00 | 007 | რუსეთი-სლოვაკეთი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 008 | ესტონეთი-ლუქსემბურგი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 19.30 | 009 | შვეიცარია-ფარერები | 1,05 | 8,0 | 17,5 | 1 | 1 | 5,49 |
| 20.00 | 010 | ისლანდია-ბულგარეთი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 20.00 | 011 | აზერბაიჯანი-უელსი | 6,5 | 3,6 | 1,5 | 2,31 | 1,21 | 1,05 |
| 21.00 | 012 | თურქეთი-საქართველო | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 21.15 | 013 | ლატვია-პორტუგალია | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 21.30 | 014 | რუმინეთი-მაკედონია | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 22.00 | 015 | დანია-უკრაინა | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 22.15 | 016 | სლოვენია-მოლდოვა | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| 22.15 | 017 | ბელგია-ლიტვა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 22.30 | 018 | ხორვატია-უნგრეთი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 22.30 | 019 | ავსტრია-ინგლისი | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |
| 22.30 | 020 | სან მარინო-სერბია | 20,0 | 8,0 | 1,04 | 5,71 | 1 | 1 |
| 22.45 | 021 | იტალია-ნორვეგია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 22.45 | 022 | ალბანეთი-საბერძნეთი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 22.45 | 023 | საფრანგეთი-ისრაელი | 1,2 | 5,0 | 12,0 | 1 | 1,09 | 3,52 |
| 22.45 | 024 | მალტა-შვედეთი | 15,0 | 7,0 | 1,1 | 4,77 | 1,02 | 1 |
| 04.00 | 025 | პერუ-არგენტინა | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 22.15 | 026 | ურუგვაი-ეკვადორი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 00.10 | 027 | ბრაზილია-ბოლივია | 1,1 | 6,0 | 15,0 | 1 | 1,02 | 4,28 |
| 02.20 | 028 | პარაგვაი-ვენესუელა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 05.00 | 029 | ჩილე-კოლუმბია | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი
TELCREDITI

10
42 00 24
+%


# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

CROCO BOOKMAKERS კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მადა ჭამაში, ოქრო პეკინშიც!

## გიორგი ასანიძე: მარტო ამ წამისთვის ღირდა 19-წლიანი შრომა

*21 ვისტო, ათენი, „ნიკაიას“ ძალოსნობის დარბაზი: ფიცარნაგზე ადის ჩინელი აიჟუნ იუანი და 215 კილოგრამიან შტანგას ამაოდ ეჭიდება... წამში გაიელვა გიორგი ასანიძემ, ელვისებური, გიჟური ნახტომით მირბის ვანო გრიქუროვისკენ და გულში იხუტებს უსაყვარლეს მწვრთნელს — არის მეორე ქართული ოქრო, ასანიძე ოლიმპიური ჩემპიონია! ეს იმ კაცის ოქროს ხელებით მოხდა, რომელსაც სიდნეის ოლიმპიადიდან 2003 წლის აპრილამდე ტრავმები ტანჯავდა, ბევრი სირთულის წინაშე დადგა და გახსოვთ, ათენში წასვლამდე გიორგი თამამ პროგნოზებს არ აკეთებდა. გუშინწინ გიორგი ასანიძე 29 წლის გახდა და სიმბოლურად, ოლიმპიური ტრიუმფატორის იუბილე სამშობლოში ოქროს მედლის ჩამოტანით აღნიშნა. თავისუფლების მოედანზე გამართული ზეიმი მის ოჯახში გაგრძელდა, მეტი საბაბი რად გინდათ? სიხარულისგან ემოციადაცლილმა გიორგიმ პირველ რიგში ის წამიერი განცდები გადმოგვცა, ჩემპიონობის განაღდებისას რომ დაეუფლა:*

— ეს იყო უდიდესი ტვირთის მოხსნა. 19-წლიანი მუხლჩაუხრელი შრომა დამიფასდა. ოლიმპიადა ის ტურნირია, სადაც თითოეულმა სპორტსმენმა ძალების მაქსიმუმი უნდა ჩააქსოვოს, საკუთარ თავს უნდა გადაახტეს და ბედნიერი ვარ, რომ ეს შევძელი. ჩემი გამარჯვება იმ იდეალური ტაქტიკური სვლების მეშვეობით მოხდა, რომლის ავტორი ვანო გრიქუროვი გახლდათ. ის იყო დიდი კომპოზიტორი, რომელიც სიმფონიას უკვეთავდა.

— უფრო კონკრეტულად, ტაქტიკა რაზე იყო აგებული?

— დასახული გეგმით უნდა გვევლო. ბოლოს 7 სპორტსმენს ჰქონდა ჩემპიონობის შანსი, მაგრამ ჩვენ მათ მოქმედებას არ ავყევით, წონის შეკვეთებში არ გამოვედევნეთ. პირიქით, იძულებულები გავხადეთ, რომ აქეთ ისინი გამოგვდევნებოდნენ, რასაც თურქმა და რუსმა ძალოსნებმა, ალბათ, ფსიქოლოგიურად ვერ გაუძლეს. ბოლო ცდებისას კი ენერგია თითქოს მომემატა, ჩემპიონობის მოახლოვება ვიგრძენი და ღმერთმა გადმომხედა. ერთიცაა, მსოფლიო ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგი ვერ გავაუმჯობესე, საერთოდაც ძალოსნობაში ძალიან მაღალი შედეგები ვერ ვიხილეთ, მაგრამ მთავარ მიზანს მივაღწიე.

— არსენ კასაბიევის, ვანო გრიქუროვისა და ზურაბ კახაბრიშვილის შემდეგ, პირველად დიმასმა მოგილოცა...

— დიმასმა გულწრფელად მომილოცა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. რა თქმა უნდა, გული დასწყდა, მის ადგილას ხომ მეც ასე ვიქნებოდი...

— ბოლოსწინა ცდაზე ღერძზე ხელი დაგიცდა, მაინც რა მოხდა სინამდვილეში?

— პერსონალმა შეცდომა დაუშვა. მათ ევალებათ ღერძის გაწმენდა, გაწმინდეს კიდეც, მაგრამ წყლით იყო დასველებული. ამ შემთხვევის გამო, ატაცი არ გამომივიდა.

— ვითომ, ეს მხოლოდ შემთხვევა იყო?

— რა თქმა უნდა, ასეთი დონის შეჯიბრზე შემთხვევით არაფერი ხდება...

— საქართველოს ჰიმნის მოსმენისას რამდენჯერმე სიხარულისგან უცნაურად გაიღიმე. ამ დროს რა გახსენდებოდა?

— ყველაფერი წამებში გადაიხლართა. გამახსენდა ბავშვობა, ოჯახი, ნათესავები, წარმოვიდგინე, რა ბედნიერი იყო იმ წამს ჩემი ქვეყანა...

— საქართველოში ასეთ დახვედრას ელოდით?

— ქართველ ხალხს რომ სპორტი უყვარს, ამას ყოველთვის ვგრძნობდი. ისე, ძალიან დამწყდა გული, რომ აეროპორტში არ მოგვეცა ხალხთან შეხვედრის საშუალება. ეს ხომ ზღაპრული წუთებია, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ დაივიწყებ. ჩემს გამარჯვებაში გულშემატკივრებს უდიდესი წვლილი მიუძღვით. მათი შემხედვარე, წაგებაზე ფიქრიც კი შეგეზარება, ყველანაირი გაჭირვება დაგავიწყდება.

მადლობას ვუხდი საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ყველა წევრს, ქართული სპორტის ყველა მესვეურს, საჩხერელებს — ჩემს პირველ მწვრთნელს გოგი თოდაძეს და თამაზ ლაშხს, რომლის მეშვეობითაც საჩხერეში ძალოსნობა ცოცხლობს. არ მინდა, ვინმე გამომრჩეს, ყველას ვერ ჩამოვთვლი — მთელ საქართველოს ვემადლიერები.

— ათენში თანამემამულეების გამოსვლას, ალბათ, ესწრებოდი...

— როცა დრო მქონდა. ძალიან დამწყდა გული მოჭიდავეების წარუმატებლობაზე. არ ვიცი, რა მოხდა ელდარ კურტანიძესთან დაკავშირებით, მის ჯგუფში ჩარჩენას ვინ წარმოიდგენდა. ელდარი საოცრად გულგატეხილია, მასაც და სხვებსაც მაქსიმალურად უნდა დავუდგეთ გვერდში. ამავე დროს, ვულოცავ ზურაბ ზვიადაურს, რამაზ ნოზაძეს და ნესტორ ხერგიანს, რომელმაც „ვერცხლის ხანაში“ გადასვლით დიდი სტიმული მოგვცა.

— არსენ კასაბიევის გამოსვლას ფოტოაპარატით იღებდი. მომავალი ოლიმპიური ჩემპიონის სამახსოვრო ფოტოებია?..

— მართლაც ძალიან პერსპექტიულია. 16 წლის ბიჭისთვის ეს ოლიმპიადა დიდი ტრამპლინი იყო და მჯერა, იგი ღირსეულად გააგრძელებს ესტაფეტას. ამის შემდეგ, უმედლოდ დარჩენას უკვე ველარ ავიტანთ (იცინის).

— ბუნებრივია, პეკინის ოლიმპიადაზეც ოქროსთვის იბრძოლებ. მოპოვება უფრო ადვილია, ვიდრე შენარჩუნებაო და ამ მხრივ სტიმული ხომ არ მოგაკლდება?

— არა. მადა ჭამაში მოდისო, ხომ გაგიგიათ...

— ახლა, ალბათ დასვენებას აპირებ...

— მხოლოდ, ცოტა ხნით. შემდეგ ისევ ვარჯიში ჩემს უსაყვარლეს მწვრთნელთან...

— შენი ტრიუმფი არაერთ ბავშვს უბიძგებს ძალოსნობისკენ და დარბაზის გახსნას ხომ არ აპირებ, თუნდაც საჩხერეში?

— აუცილებლად. არა მარტო საჩხერეში, სხვა რაიონებშიც უნდა აღდგეს ტრადიციები. კი, ტრადიციები ახლაც არის საჩხერეში, მაგრამ არ არის ინვენტარი. ძალიან გამეხარდა, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა სრული მხარდაჭერა აღუთქვა სპორტს, უნდა გენახათ, ათენში როგორ ედგა მხარში ჩვენს სპორტსმენებს და მჯერა, იგი ამ საქმეს შეასრულებს.

— თუ საიდუმლო არ არის, 400 000 ლარს რაში დახარჯავ?

— დახარჯვა გამიჭირდება ოთხი შვილის მამას? რა თქმა უნდა, არავის არ დავივიწყებ, ვეცდები ისე გავანაწილო თანხა, უკმაყოფილი რომ არავინ დარჩეს.

— წარმოგვიდგენია, რამდენი ლიტრი ღვინო დაილეოდა შენს ოჯახში გუშინწინ ღამეს...

— ოო, დიდი ხალხმრავლობა იყო, ოჯახი, ნათესაობა, მეგობრობა, სიხარულის ცრემლები... მარტო ამისთვის ღირს 19-წლიანი ვარჯიში და თავის გადადება...

**ილია ნანობაშვილი**



# ჯერ მრთი ოქრო მიკმაროთ

## არსენმა თავისი მაინც ასწია

*კახი კახიაშვილისა და გიორგი ასანიძის აღმზრდელი ვანო გრიქუროვი ახლო მომავალში კიდევ ერთი მსოფლიო დონის ვარსკვლავის დაბადებას გვპირდება. 16 წლის ცხინვალელი არსენ კასაბიევისთვის ათენის ოლიმპიადა გამოცდილების მიღების საუკეთესო საშუალება იყო. თავის ასაკში ევროპის უძლიერესმა ძალოსანმა ოლიმპიადა მე-14 ადგილით დაასრულა და ბევრად გამოცდილ მეტოქეებსაც აჯობა. მშობლიური ოსეთის მოვლის შემდეგ არსენი გრიქუროვთან ერთად ისევ პოლონეთს მიაშურებს, ორ თვეში კი შეიძლება თბილისში ჩამოვიდეს და ვარჯიში აქ განაგრძოს*

— ათენური შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. მეთოთხმეტე ადგილი შეიძლება არც ისე შთამბეჭდავად ჟღერს, მაგრამ მე ხომ ასეთი რანგის ტურნირზე პირველად მოვხვდი. მიხარია, რომ მწვრთნელის მოლოდინი გავამართლე.

— ვანო გრიქუროვს შენი ატაცი, მგონი, გიორგის ჩემპიონობაზე არანაკლებად გახარებია.

— 207,5 კილოგრამი აქამდე არასოდეს ამეწია. ჩემს პირად რეკორდზე ვინლა ფიქრობდა, როცა ჭაბუკთა შორის ევროპის რეკორდს 5 კილოგრამით გადავაჭარბე.

— ორი დღით ადრე კი ასანიძის ოქროთი გაიხარეთ. ბევრი ინერვიულე?

— ყველამ ვინერვიულეთ, მაგრამ ბოლოს არაამქვეყნიური სიამოვნებაც განვიცადეთ. ფიცარნაგზე გასვლის და ჩემი ხალხისთვის სიხარულის მინიჭების სურვილი გიორგის გამარჯვებამ კიდევ უფრო გამიძლიერა. მართალია, მისგან განსხვავებით, კვარცხლბეკზე ასვლა ვერ შევძელი, მაგრამ ალბათ დამეთანხმებით, ამ ეტაპზე ეს ერთი ოქროც კარგი შედეგი იყო.

— შენს წონაში გამომსვლელი შენი კერპი კახი კახიაშვილი თუ გაიცანი?

— კახის ათენამდეც ვიცნობდი, ახლა კი ძალიან დავუახლოვდი. მის გვერდით ყოფნა და მასთან საუბარი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა.

— რაზე საუბრობდით?

— ხშირად გვიწევდა ერთად ყოფნა და ყველაფერზე ვლაპარაკობდით, მაგრამ განსაკუთრებით სასიამოვნო მოსასმენი მისი რჩევადარიგებები იყო. ამხელა სპორტსმენია და იცის, გამოუცდელი ძალოსანისთვის რამდენს ნიშნავს ასეთი ყურადღება.

— ოლიმპიადის უმედლოდ დასრულება ძალიან განიცადა?

— ცხადია, გულდაწყვეტილი იყო, მაგრამ ჩემთან ამის თაობაზე სიტყვაც არ დაუძრავს. წარუმატებლობის გახსენებასაც კი ერიდებოდა.

— თბილისში რამდენ ხანს დარჩები?

— ახლა ვანო გრიქუროვთან ვარ სახლში, ხვალ კი ცხინვალში ვაპირებ ჩასვლას, ჩემებს სულ ტელეფონით ვესაუბრები და ძალიან მენატრებიან. თბილისში კი ალბათ 3-4 დღეში დავბრუნდები. 6 სექტემბერს პოლონეთში უნდა გავემგზავრო, იქაურ საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.

— როდემდე დარჩები პოლონეთში?

— ჩემპიონატი ოქტომბრის ბოლოს მთავრდება. ჩეხანოვოს კლუბ „მაზოვიას“ ვეხმარები და ალბათ ფინალამდე არ დავალალატებ, მერე კი ყველაფერი ვანო გრიქუროვის კონტრაქტზე იქნება დამოკიდებული.

— მაშასადამე თუ გრიქუროვი თბილისში დაბრუნდა, შენც ასე მოიქცევი?

— საამისოდ ბევრი პრობლემის გადაწყვეტა მომიწევს. იმედია, ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც ჩვენ გვინდა.

— შენს ათენურ გამოსვლას პოლონელებიც ნახავდნენ. რას იტყვი, მათი ნაკრების სახელით გამოსვლა რომ შემოგთავაზონ?

— იმედია, არ შემომთავაზებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ქართული დროშა ათენში

ჩვენი სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა კავშირის, დსთ-სა და დამოუკიდებელი საქართველოს სახელით გამოდიოდნენ. სახელმწიფო დროშებიც შესაბამისი იყო. ბოლოს ეროვნული შინდისფერი დროშის ხუთჯვრიანით შეცვლამ ზოგი უცხოელი დააბნია. ათენში ჩილიელი კოლეგები გვეკითხებოდნენ, თქვენ ახალი დროშა ხომ არ გაქვთო. დროშისადმი ინტერესი ზურაბ ზვიადაურისა და გიორგი ასანიძის ჩემპიონობის მერე გამოხატეს, როცა მათი გამარჯვების აღსანიშნავად პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, როგორც იქნა, საქართველოს ჰიმნი გაისმა.

ათენში საქართველოს დროშა პირველად ოლიმპიურ სოფელში აფრიალდა. მერე იგი სხვა 202 სახელმწიფოს დროშებთან მთავარ ოლიმპიურ სტადიონზეც გადმოფინეს. იქვე საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა ამაყად გამოჩნდა თამაშების გახსნის ცერემონიალზეც, სადაც ჩვენი მედროშე ზურაბ ზვიადაური იყო. ეს დროშა ფრიალებდა უკლებლივ ყველა სპორტულ ბაზაზე, სადაც საქართველოს სპორტსმენები გამოდიოდნენ. ამ დროშის ფრიალით ამხნევებდნენ ჩვენ სპორტსმენებს მათი აქაური თუ საბერძნეთში მცხოვრები ქართველები. დროშიან გულშემატკივართა შორის იყო საქართველოს პირველი ქალბატონი სანდრა რულოვსი შვილთან ერთად.

ყველაზე დიდი დროშა მაინც „ქართულ სახლში" იყო, რომელსაც მთელი ჭერი დაეფარა და თითქოს მის ქვემოთ შეკრებილთ ავი თვალისგან იცავდა. დაიცვა კიდეც, რადგან დამოუკიდებელი საქართველოს სპორტსმენთა გამარჯვების აღსანიშნავად ყველაზე მაღლა პირველად აღიმართა. იმედია, ზემოდან აღარც დაეშვება და ყველა ოლიმპიურ თამაშებზე იქიდან იფრიალებს.

**ავთანდილ გურასაშვილი**

ავტორის ფოტოები



ოლიმპიურ სოფელში ქართული დროშა ბერძენმა გოგონებმა აღმართეს



სანდრა რულოვსი შვილთან ერთად ქართულ ალამს აფრიალებდა



ვეება ქართულმა დროშამ „ქართული სახლის" ჭერი დაფარა



ხუთჯვრიანმა დროშამ ხუთი რგოლი ანტიკურ სტადიონზეც დაამშვენა



თამაშების გახსნის ცერემონიალზე ქართველობას მედროშედ ზურაბ ზვიადაური მიუძღვებოდა



ჩვენი დროშა კენწეროზე ორჯერ აფრიალდა

US OPEN 2004 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 19 050 000 $

# დაივიწყეთ ბუში, მოუსმინეთ ჯაზს, ისიამოვნეთ ჩოგბურთით



REUTERS ნიუ იორკიდან

კარლოს მოია

## პირველი წრე

### კაცები

ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 7:6 (7:2) *ლაბაძემ შეწყვიტა;* როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 7:5, 6:2, 6:4; კარლოს მოია (3, ესპანეთი) — ბრაიან ბეიკერი (აშშ) 6:7 (6:8), 6:4, 6:4, 6:2; ანდრე აგასი (6, აშშ) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:6 (7:5), 6:4, 6:2; გასტონ გაუდიო (9, არგენტინა) — ხუან მონაკო (არგენტინა) 7:6 (8:6), 4:6, 6:3, 6:2; ანდრეი პაველი (16, რუმინეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:3, 7:5, 6:7 (5:7), 6:3; ნიკოლას კიფერი (19, გერმანია) — ნიკოლა მაუ (საფრანგეთი) 6:3, 7:5, 6:2; ტაილორ დენტი (21, აშშ) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 6:1, 2:1 *ელ აინაუიმ შეწყვიტა;* მარდი ფიში (26, აშშ) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 7:5, 6:3, 6:2; ფაბრის სანტორო (31, საფრანგეთი) — ტოდ მარტინი (აშშ) 4:6, 6:4, 6:4, 7:5

### ქალები

ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — მარისა ირვინი (აშშ) 6:4, 6:2; სერენა უილიამსი (3, აშშ) — სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:3; ელენა დემენტიევა (6, რუსეთი) — დინარა საფინა (რუსეთი) 2:6, 6:1, 6:2; ჯენიფერ კაპრიატი (8, აშშ) — დენიზა ჰლადკოვა (ჩეხეთი) 2:6, 6:1, 6:2; ვერა ზვონარიოვა (10, რუსეთი) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:1; აი სუგიამა (12, იაპონია) — ტერინ ეშლი (აშშ) 7:5, 6:2; პატი შნიდერი (15, შვეიცარია) — რობერტა ვინჩი (იტალია) 7:6 (7:3), 6:0; ფრანჩესკა სკიავონე (16, იტალია) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:3; ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) — კაროლინა შპრემი (18, ხორვატია) 6:3, 2:6, 6:4; მაგდალენა მალეევა (22, ბულგარეთი) — ფლავია პენეტა (იტალია) 2:6, 6:4, 6:4; მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) — მეგან შონესი (32, აშშ) 6:4, 6:4

ნიუ იორკი ამ დღეებში ორ დიდ ამბავს მასპინძლობს — რესპუბლიკელთა პარტიის კონვენტს, რაიც ქვეყნის ამჟამინდელ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-ნარინისთვის ზორბა წინასაარჩევნო ტრამპლინად უნდა იქცეს და აშშ-ის ღია პირველობას, რომელზეც პლანეტის უჩაუქესი მეჩოგნენი ერთმანეთს სეზონის უკანასკნელ სლემტიტულს შეეცილებიან. ჩვენ — და, აბა, ამას განსაკუთრებული შეხსენება რაღ სჭირდება — რესპუბლიკელთა ჭიაკოკონებას სულ კლავიატურაზე დავიკიდებთ და ჩვენ განათლებულ მკითხველთან ერთად მთელ ყურადღებას ფლეშინგმედოუზურ საჩოგნეთს მივაპყრობთ. ეგ მით უფრო, რომ ჩვენი საქმე უფრო დიდხანსაც გასტანს და ვინძლო სასეიროდაც უმჯობესი იყოს.

მაშ ასე: სანამ კორტებზე ბურთაობა გაჩაღდებოდა, ტურნირის ორგანიზატორებმა ცხორ-მეცხორეს კაი ბარაქიანი სანახაობა მოუწყვეს. აფრო-ლათინური ჯაზორკესტრის რიტმულ ჩახუჭუჭებათა ფონზე მილეთმა საერთაშორისო საჩოგბურთო ამქრის სრული მრავალფეროვნებაც მოიხილა და საკუთრივ ნიუიორკული მულამებითაც დატკბა. საეროთოდ, მთელ ამ ყეენობას აშკარად ნაოლიმპიადევი გემო დაჰკრავდა და მის საზეო მომენტშიც კორტზე სწორედ ათენურ მაგარსაფარზე დამედლიანებული მეჩოგნეები გამოჩნდნენ.

ხოლო, როცა ჯაზორკესტრის უკანასკნელი ხვეულიც ჩაცხრა და ნიუ იორკის ჭიამერ მაიკლ ბლუმბერგის სადღეგრძელოც ამძუვნებულ ჰაერს შეენივთა, სარბიელზე უშალითო ჩოგნები გამოჩდნენ, ჩოგნები, რომელთა დოლარიან ლაპლაპსაც უახლოესი ორი კვირის განმავლობაში ჩვენს ამ ისე-რა მიმოხილვებსაც ავადევნებთ...

თავის მესამე საამსეზონო სლემტიტულისთვის ბრძოლა კაცთა ამქრის პირველოსანმა როჯერ ფედერერმა გამოცდილი ესპანელის ალბერტ კოსტას დამაჯერებელი ძლევით დაიწყო. შარშანწინდელი როლანგაროსობის ჩემპიონთან შვეიცარიელს აქამდე ორჯერ ეთამაშა და ორჯერვე წაეგო, აქედან ბოლოჯერ წლეულს — რომაულ თიხნარზე. თუმცა ახლა ფედერერს მხოლოდ პირველ სეტში გაუჭირდა, ამ სეტის ბოლოსკენ კი მატჩის სადავეები ხელთ იგდო და სულ ბოლო, დამაგვირგვინებელ გეიმში ოდნავ აღელვებას თუ არ ჩავთვლით, ყველაფერი ხუთიანზე მოაგვარა.

დღეს საბოლოოდ გავერკვიე, თუ როგორ უნდა მის წინაალმდეგ თამაში და ძალიან კმაყოფილი ვარო, ამბობდა მერე. ხოლო კითხვას, იმის ხომ არ გეშინიათ, ბიორნ ბორგივით აშშ-ის ღია პირველობის მოგება თქვენც ვერ მოახერხოთო, ასე მიუგო: „ჯერ ერთი, ბორგმა აქ ბედი ცხრაჯერ სცადა, მე კი ცხრამდე ბევრი მიკლია. მეორეცაა და ცუდად აქ არასოდეს ვთამაშობ — მეოთხე წრეს სამჯერ ვუწიე და მაშინაც ისეთ მეტოქეებთან დავმარცხდი, გასაკვირი არაფერი იყო. ეს საფარი ჩემს თამაშს კარგად ესადაგება, ავსტრალიურთან შედარებით კიდევ უფრო სწრაფია და ამდენად თავს აქ ძალზედ რიგიანად ვგრძნობ. მოკლედ — ამ თვალსაზრისით ბორგსა და ჩემს შორის პარალელების გავლება ჯერ ნაადრევი უნდა იყოს."

ფედერერის დარად ფლეშინგმედოუზობა შთამბეჭდავად დაიწყო სერენა უილიამსმაც, ვინაც საზოგადოებას ამჯერადაც ახალი სამოსით — ჭიპზედა მაისურათი და დუნდულებსოდნავქვედა ქვედაკაბით წარუდგა. უმცროსმა უილიამსდამ სულ რაღაც 53 წუთი მოანდომა მსოფლიო რეიტინგიაში 84-ე ადგილზე მდგომი უსახელო ჩეხის სანდრა კლეინოვას ბერტყვას. ნამატჩევს სერენა ბევრს ჟღურტულებდა და აქაურობა უიმბლდონზე მეტად მიყვარს, რაკილა კარიერის პირველი სლემტიტული (1999 წელს) სწორედ აქ მოვიხვეჭეო, ამბობდა.

შეგახსენებთ, რომ სერენამ აშშ-ის შარშანდელი პირველობა ტრავმის გამო გამოტოვა და წლეულს იქ ერთი ქეციანი სარეიტინგო ქულაც არა აქვს დასაცავი. ამიტომ ზოგიერთი ვარაუდობს, რომ ის უფრო თავისუფლად და უკომპლექსოდ გაირჯება...

სხვაფრივ — კვლავ საარაკო ფორმაშია 34 წლის ანდრე აგასი, ვინაც მას შემდეგ, რაც აგვისტოს დასაწყისში ცინცინატურ მასტერსზე იმარჯვა, კარიერის მეცხრე სლემტიტულისთვის საჭირო თავდაჯერებულობას მისთვის ჩვეული გრაციოზულობით ატარებს. თვისტომი რობი ჯინეპრი მას თანაბრად მხოლოდ პირველ სეტში ეომა, მერე კი ნელ-ნელა მისი მაღალი კლასის წინაშე დათმო.

გაივაკა მესამე ნომრად განთესილმა კარლოს მოიამაც, თუმცა 19 წლის ამერიკელ ბრაიან ბეიკერთან წაგებული სეტის შემდეგ სამის უკუგება მოუხდა.

ისევ ბრწყინვალედ გამოიყურება ათენის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი, ქალთა ამქრის მეორე საფეხურზე მდგომი ამელი მორესმო, რომელმაც ტურნირის გამხსნელ მატჩში უპრობლემოდ აჯობა ამერიკელ მარისა ირვინს. ლონიერმა ფრანგმა, რომლის საუკეთესო საიქაო მიღწევა ორი წლის წინ ნახევარფინალში თამაშია, ამ მატჩის შემდეგ დაიქადნა, რომ უმთავრეს მიზნად რეიტინგსიის სათავეში მოქცევას ისახავს. საამისოდ მას, სულ მცირე, ფინალში გასვლა და იქ შარშანდელი ჩემპიონის ჟუსტინ ენენ-არდენის ძლევა სჭირდება, რაც, მათ ერთიკვირისწინანდელ ოლიმპიურ ფინალს თუ გავითვალისწინებთ, ერთობ სათუო უნდა იყოს.

ფაბრის სანტოროსგან იძლია და ნამატჩევს მილეთს თავი დაუკრა ვეტერანმა ამერიკელმა ტოდ მარტინმა — აქაოდა, მორჩა, ახლა უკვე წასვლის დროაო.

მარკოს ბაღდატისი კი გახდა პირველი კვიპროსელი, ვინაც დიდი მუზარადის რაგინდარა ტურნირზე მატჩის მოგება მოახერხა. 19 წლისა და რეიტინგსიის 237-ეადგილოსანმა აფროდიტისკუნძულელმა ფრანგ ოლივიე მუტის მოუგო — 2:6, 6:2, 6:1, 7:5.

და ბოლოს — სამწუხაროა, რომ მაჯის ტრავმამ, რამაც მას არც ათენის ოლიმპიურ სარბიელზე გამოსვლის ნება დართო, ირაკლი ლაბაძე ნიუ იორკშიც დაალალატა. ქართველ მეჩოგნეს ფრანგ გოლმართან წაგებული პირველი სეტის შემდეგ მატჩის შეწყვეტა მოუხდა.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS ნიუ იორკიდან

როჯერ ფედერერი: დასაწყისისთვის არა უშავს



REUTERS ნიუ იორკიდან

აი, სერენა უილიამსი. შეხედეთ და დატკბით

# ვლადიმერ სტეფანიას ფეხი სამშობლოში არ უშვებს

## სადაზღვევო კომპანია თავს იზღვევს

*თუ რამე არ შეიცვალა, დღევნდელი ვითარებიდან გამომდინარე, ვლადიმერ სტეფანია ნაკრებში სათამაშოდ ვერ ჩამოვა. საქმე ის გახლავთ, რომ სადაზღვევო კომპანია ვირზე შემჯდარა, გაზაფხულზე ნაოპერაციევ ფეხს სტეფანიას არ უზღვევს და ვოვასაც ალალ ბედზე ნაკრებში ჩამოსასვლელად თავი არ ემეტება. ვაითუ ტრავმა მიიღოს, მაშინ ხომ „პორტლენდში" თვითდამკვიდრების შანსიც წაერთმევა და უხელფასოდაც დარჩება. თუმც ვოვა არც მთლად იმედგადაწურულია, მას საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანის მარიფათის იმედი აქვს, რომელიც ნბა-ში მოთამაშე ქართველების სადაზღვევო საკითხებითაა დაკავებული...*



ვოვა სტეფანია შვიდი წელია, რაც სამშობლოში არ ყოფილა

— ყველაფერი ისე იყო, რომ ნაკრებში სათამაშოდ მოვდიოდი, მაგრამ ჩემს დაზღვევას არ დაადგა საშველი, უამისოდ კი ნაკრებში თამაშს აზრი არა აქვს. კი, შეიძლება არავის დავეკითხო და თბილისში სათამაშოდ წამოვიდე, მაგრამ ასე არავინ იქცევა, ამას მხოლოდ არაპროფესიონალი თუ იზამს.

**— დაზღვევის პრობლემა თითქოს არ არსებობდა, საქართველოს კალათბურთის ფედერაციას ეს საკითხი მოგვრებული ჰქონდა...**

— მეც ასე მეგონა, დაზღვევის საკითხს ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ ახლა წამოსვლაზე რომ მიდგა საქმე, აღმოჩნდა, რომ დაზღვევა არ მაქვს. ამ პრობლემამ ისე შემაწუხა, რომ დაწვრილებით გამოვიკვლიე ყველაფერი. თურმე ფიბა-ს ნბა-სთან ოფიციალური ხელშეკრულება ჰქონია, რომლის ძალითაც თუ თავად მოთამაშეს არ სურს, კლუბს არა აქვს კალათბურთელის გუნდში დაკავების უფლება. ოღონდ აქ მთავარი ის გახლავთ, რომ თუ მოთამაშის კონტრაქტი საიმედოდ არ იქნა დაზღვეული, სპორტსმენს ვერავინ აიძულებს ეროვნულ ნაკრებში თამაშს.

**— თავად მოთამაშე უნდა იყოს დაზღვეული თუ კონტრაქტი?**

— თითქმის ერთი და იგივე არ გამოდის? თუ კალათბურთელი ტრავმას მიიღებს და კლუბში თამაშს ველარ შეძლებს, მას ხელფასი მზღვეველმა კომპანიამ უნდა გადაუხადოს.

**— კონკრეტულად შენ რატომ გითხრეს უარი დაზღვევაზე?**

— როგორც გავიგე, სადაზღვევო კომპანია პასუხისმგებლობას ვერ იღებს ჩემს ფეხზე. მეუბნება, მაგ ფეხის გარდა მთელს დანარჩენ სხეულს დაგიზღვევო.

**— მიზეზი?**

— საქმე ისაა, რომ რაც გაზაფხულზე მუხლის ოპერაცია გავიკეთე, მას შემდეგ აღარ მითამაშია და სადაზღვევო კომპანიის მუშაკებიც ამიტომ იზღვევენ თავს — რა ვიცით, რა გელის, მაგ ნაოპერაციევ მუხლს მთელი დატვირთვით რომ აამუშავებ, ახალი ნამკურნალებია და ეგებ ისევ დაგიშავდესო. ამიტომაც მეუბნებიან, მაგ მუხლის გარდა რაც გინდა იტკინო, პასუხისმგებელნი ვართო. აი, ასეთი სიტუაციაა, ჩემოდნებზე ვზივარ და მზღვეველთა საბოლოო პასუხს ველი.

**— მაგ პრობლემის მოგვარებით ვინაა დაკავებული?**

— სადაზღვევო საკითხები საქართველოს ფედერაციის მოსაგვარებელია და მას პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი უძღვება. ბატონმა ბესომ წარმატებით დააზღვევინა ნიკა ცქიტიშვილი და ზაზა ფაჩულია და ჩემს შესახებაც მოლაპარაკებას აწარმოებს სადაზღვევო კომპანიებთან. იმედი მაქვს, ყველაფერი საქართველოს ნაკრების ინტერესების სასარგებლოდ დამთავრდება და თბილისში ჩამოვალ. მე ამის ძალიან დიდი სურვილი მაქვს.

**— ისიც გავიგეთ, სტეფანია თბილისში ჩამოდის, ოღონდ თამაშს არ აპირებსო...**

— თავიდან სწორედ მაგას ვფიქრობდი. თუ მწყობრში არ ვიქნები ან დაზღვევა არ მექნება, საქომაგოდ მაინც წავალ საქართველოში-მეთქი. შვიდი წელია, საქართველოში არ ვყოფილვარ და მართლა ძალიან მსურს, ჩამოვიდე, მაგრამ ახლახან „პორტლენდში" „მილუოკიდან" ცენტრი ჯოელ პრჟბილა მოვიდა და თუ აქედანვე არ შევუდექი კონკურენციის დაძლევაზე ფიქრს, მერე უფრო გამიჭირდება.

**— პრჟბილა არც ისეთი ძლიერი კალათბურთელია, მის კონკურენციას ვერ გაუძლო...**

— ზოგადად ასეა, მაგრამ მაგ იმედით საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება და მოდუნება არ მარგებს. „მაიამიში" რომ ვთამაშობდი და კარგ ფორმაში ვიყავი, პრჟბილას წინააღმდეგ სულ გამარჯვებული გამოვდიოდი. ახლა სხვა დროა — მე 5 თვეა, არ მითამაშია, პრჟბილა კი ინტენსიურად ემზადებოდა.

**— ეროვნულ გუნდს დავუბრუნდეთ: საბოლოოდ როდის გაირკვევა შენი ნაკრებში ჩამოსვლის ამბავი?**

— ალბათ ორ-სამ დღეში. ისე, ჯერ კიდევ არის დრო და თუნდაც ზედ ფინეთთან მატჩის წინა დღეს რომ მომცენ დაზღვევა, იმ წუთსვე თბილისში მოვფრინავ.

**ირაკლი პერტაია**

# ფინელების სტუმრობა არ გეგონოთ ხუმრობა

## მოტოლამ შვედებთან ტოროლასავით იფრინა

**ბალტიის თასის მოგების შემდეგ საქართველოს მეტოქე ფინეთის ნაკრებმა, მორიგ წარმატებას მიაღწია. ათასი ტბის ქვეყნის წარმომადგენლებმა მეზობელ შვედებთან შინ ორი ამხანაგური შეხვედრა გამართეს და ორივეჯერ იოლად იმარჯვეს**

ერთი თვის წინ შვედები ქართველებმაც დაამარცხეს სან ჯორჯოში, მაგრამ სკანდინაველთა ის მარცხი რა მოსატანია იმასთან, რაც მათ ფინელებისგან იწვნიეს. 26 აგვისტოს ქალაქ კოვოლაში ფინელებმა 77:61 მოდრიკეს მეტოქე, მეორე დღეს კი შვედებს ლაპენრანტაში უმასპინძლეს და სამარცხვინოდ, 39 ქულით გააცამტვერეს.

ორივე მატჩის გმირი შეიქნა ერთ დროს ნბა-ში ნათამაშები, დღეს კი იტალიურ „სკიპერში" მობურთალი ჰანო მოტოლა, რომელმაც ჯერ 18 ქულით დაზურგა შვედები, მეორე დღეს კი 21 ქულა უთავაზა. მოტოლას ორივე მატჩში გვერდში ედგა ფინელთა კიდევ ერთი ლიდერი, ტეემუ რანიკო, ვინც ჯამში 26 ქულა მოიხვეჭა.

ეს საწყალი შვედეთი, A კატეგორიის გუნდებში რომ გაუმწესებია ფიბა-ს, გარდიგარდმო აგებს ქვედა ეშელონის გუნდებთან — საქართველოსთან და ახლა უკვე ფინეთთანაც.

შვედების მარცხი ამხანაგური მატჩებისადმი გულგრილობით შეიძლება აიხსნას, მაგრამ, თუ დავუკვირდებით, ეს საბუთი ნაკლებად ჩვენთვის საკუთარი თავის მოსატყუებლად თუ გამოდგება. შვედებმა სან ჯორჯოში არაფერი დათმეს, იტალიას ლამის მოუგეს და რაღა ახლა, ოფიციალური მატჩების წინ აიცრუებდნენ გულს. ფინეთისა არ იყოს, შვედებსაც სექტემბრის შუა რიცხვებში უწევთ ოფიციალურ ტურნირში ჩაბმა, ოღონდ, სუომელთაგან განსხვავებით, „ყვითელ-ლურჯები" ევროჩემპიონატის შესარჩევ ციკლს თამაშობენ და პირველ მეტოქედ რუსეთის მძლავრი ნაკრები ჰყავთ.

ფინეთი კი საქართველოში მოდის ევროშესარჩევ ტურნირთან შედარებით დაბალი დონის საკვალიფიკაციო შეჯიბრში ჩასაბმელად. ფინელებმა შვედების განადგურებით დაასრულეს ტესტ-მატჩების სერია და ქართველებთან შეხვედრას, რა გასაკვირია და, დიდი ამბიციით ხვდებიან.

**ირაკლი პერტაია**

მთელ საქართველოს ვულოცავ იმ დიდ გამარჯვებასა და სიხარულს, რაც ჩვენმა ოლიმპიელებმა გვაჩუქეს. მათი წყალი გადასხმოდეს ყველა ქართველ სპორტსმენს და მათთან ერთად ჩვენც, კალათბურთელებს.

*პატივისცემით და დიდი სიამაყით*
*გიორგი მდივანი საფრანგეთიდან*



ფინელთა ჭილა ჰანო მოტოლა საქართველოში ამბიციებით ჩამოდის




REUTERS მაიამიდან

# ახალ ადგილას

ლოს ანჯელესიდან დაძრული შაკილ ონილი კარგად შეეწყო მაიამის, იქ ახლა „ემტივის" დაჯილდოებები ტარდება და შაკიც ჩაატარეს ალისფერ ხალიჩაზე თავის კოხტა ცოლთან, შოუნი ნელსონთან ერთად.

# არტურ ეშის დღეს

ამერიკის ღია პირველობას ჩოგბურთში წინ უსწრებდა „არტურ ეშის ბავშვთა დღე", განთქმული საჩოგბურთო ფესტივალი ნიუ იორკში. ჰოდა, იმ დღეს კორტზე ორი დიდი ჩოგბურთელი, მხიარული ცოლ-ქმარიც ერთობოდა: შტეფი გრაფი და ანდრე აგასი.



REUTERS ნიუ იორკიდან

# დიეგოსებური



REUTERS ბუენოს აირესიდან

რა იცის ეს დიეგო მარადონამ, ბიჭების ტუჩებში დაკოცნა. კარლოს ტევესი, უკვე ოლიმპიური ჩემპიონი, მშობლიურ „ბომბონიერაზე", „ბოკას" მატჩზე მივიდა, იქ კი დიეგო დაუხვდა. ნაავადმყოფარი დიეგო მასის შემდეგ არ ყოფილა „ბომბონიერაზე"და ახლა ოლიმპიური ჩემპიონის ჩასაკოცნად მივიდა...

# მეშვიდე

მიხაელ შუმახერი მეშვიდედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ბელგიის დიდი პრიზის მოგების შემდეგ „ფერარის" და პირადად მისმა ფანებმა „ფერარის" ქალაქ მარანელოში მისი საზეიმო ფიტულებიც კი გამოიტანეს და მიხაელის სადიდებელი სიმღერებიც დასცხეს.



REUTERS მარანელოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge